

K 214673
3

გ. ხაფიარიძე



ხალხური თამაშები
და ვარჯიშები
ჩვეობის ცისამღელი პრეზიდენტის
შეარცებულება

მ. ჯაფარიძე

ხალხი თამაშები ღა ვარჯიშები აევოლუციამდელი პრესი ვარცლებზე

ა. გ. გ. გ.
გ. გ. გ. გ.
გ. გ. გ. გ.



თბილისი უნივერსიტეტის გამოცემლობა
თბილისი 1990


ბროშურაში ქართული პრესის ანალიზის საფუძველზე ნაწერებია, თუ რა როლს ასრულებდნენ ხალხური თამაშები და ვარჯიშები ხალხის ყოფა-ცხოვრებაში, რა აღგილი ეჭირათ მათ პიროვნების აღზრდის საჭერი.

ნაშრომი დახმარებას გაუწევს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სტუდენტებსა და ტექნიკურების მსმენელებს, აგრეთვე ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებს, პედაგოგიკის ისტორიის, ფიზიკური აღზრდის თეორიის დაუთლებაში.

**რედაქტორი მ. ჩიტრიკაშვილი
რეცენზირები: ა. ციბაძე
ა. გავაშელიშვილი**

© თბილისის უნივერსიტეტის გამოშემსახური, 1990

4204000000
დ 608(06) — 90



ପ୍ରକାଶକ ନାମ ଓ ଠିକ୍କାଳୀ

XIX საუკუნის პროგრესული პრესა ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელმაც მიზნად დაისახა თავისი ფურცლების შეშეკობით წვლილი შეუტანა ერთს კულტურულ, სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. დაიდია მასი როლი მწერლობის, ლიტერატურის, ეროვნული კულტურის, სხვადასხვა მეცნიერების და, კერძოდ, ქართული პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების ჩამოყალიბების საქმეში. თუ ეს საკითხები დღევანდელ პირობებში სათანადოდ შეისწავლეს ჩვენმა მეცნიერებმა და ვარკვეული შეფასებაც მისცეს მას, ეროვნული კულტურის საგანძურიდან კიდევ რჩება ერთი საკითხი შესასწავლი, კერძოდ ხალხური თამაშებისა და ვარჯიშების როლი პიროვნების ყოველმხრივი აღზრდის საქმეში, რომელიც პრესის ფურცლებზე გაშუქებული ქართული პედაგოგიკის შემადგენელი ნაწილი იყო.

K 214.673

ხალხური თამაშები და ვარჯიშები რეკოლუციამდელი პრატის ფურცლები

საქართველო უძეველესი დროიდან ერთ-ერთ ძლიერ სახელმწიფო ითველებოდა. საქართველოს ტერიტორიაზე გადიოდა მსოფლიო სატრანსიტო გზები, რის გამოც იგი დაკავშირებული იყო იმდროინდელ კულტურულ ქვეყნებთან, მათ შორის საბერძნებთან და რომთან. ამონსავლეთით მუსულმანურ ქვეყნებთან და დასავლეთით ქრისტიანულ ქვეყნებთან კავშირშია დიდი ზეგავლენა, და დაფეხბითი ძრები გამოიწვია საქართველოს სოციალურ, უკონიშიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. დადგებითი ძრები იყრძნობოდა როგორც საერთოდ აღზრდის სისტემაში, აგრეთვე მისი ერთერთი შემადგენელი ნაწილის, ფიზიკური აღზრდის სისტემაშიც.

საქართველოში ფეოდალური საზოგადოების, როგორც პირებულყოფილ თემურ და მონათმფლობელურ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციებთან შედარებით, უფრო პროგრესული ფორმაციის გაჩენას მოჰყვა ფიზიკური აღზრდის სისტემის უფრო მეტი დახვეწა და განვითარება. ფიზიკური აღზრდა ხდება უფრო ორგანიზებული, მასობრივი, მდიდრდება და ინკუსტრიალური მისი აღზრდის საშუალებები, ფიზიკური აღზრდა იძებს კონკრეტულ მიზანს, რომელიც ფეოდალური საზოგადოების მიზნებიდან გამომდინარეობს¹.

თავისუფლების მოყვარულ ქართველ ხალხს ამ პერიოდისათვის მახვილით ხელში უხდებოდა სამშობლოს დაცვა. საქართველო მრავალფერ აუთხრებით და დაუნგრევით გარეშე მტრებს. მასინ არ ინდობდნენ არც ხალხს და არც მის მატერიალურ კულტურას, არბევდნენ და ანადგურებდნენ ქალაქებსა და სოფლებს, ტაძრებს,

¹ ა. ციბაძე, მხედრობათა შინა კალიერნი, თბ., საბჭოთა საქართველო, 1980, გვ. 89.

ეკლესიებს; ბუნებრივია, ნადგურდებოდა სპორტული ბაზებიც
რაც, როგორც დასტურდება, მრავლად ყოფილა საქართველოში მართვა.

ქართველი ხალხი ხშირად ებმებოდა უთანასწორი ბრძოლებში.
მტრის მუდმივი სიკარბე, საქართველოს რელიეფური მდებარეობა,
ბრძოლის საშუალებები, საბრძოლო მომზადების ორგანიზაცია,
განსაკუთრებულ დაღს ასემდა ქართველთა საბრძოლო სტრატეგი-
ასა და ტაქტიკას, ყოველივე ამან, თავისთავად ცხადია, ვაზარდა
და კონკრეტული ამოცანები დაუსახა მოზარდი თაობის ფიზიკურ
აღზრდასაც. ფიზიკური აღზრდა საქართველოში ძირითადად სამ-
ხედრო-ფიზიკურ მიმართულებას იღებს. ვარჯიშობა სამხედრო ფი-
ზიკურ სახეობებში ხდება საერთოდებულო მოსახლეობის ყველა
ფენის წარმომადგენელთაობის.

გარკვეული ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო, სა-
ქართველოს არ შეეძლო მუდმივი, რეგულარული ლაშქრის ყოლა,
რომლის შენახვასაც გარკვეულწილად კარგი ეკონომიკური პირო-
ბები ესაჭიროებოდა და მეორეც — საქართველოს ზა ქართველების
სამცირის გამო, ის პატარა მუდმივი ლაშქარი საკარისი არ იქნე-
ბოდა მტრის ჭარბ გართან შესაბრძოლებლად. აქედან გამომდინარე,
საქართველო გადაიქცა ერთიან, დიდ სამხედრო ბანკად, რომე-
ლიც ერთ დაძახილზე უმცირეს დროში მზად იყო მომზადებულიკო
მტრითან საბრძოლველად¹. თითოეული კაცი, ოჯახი თუ გვარი,
ვალდებული იყო ეზრუნა შეიარაღებაზე ხმლით, ფარით, დამბა-
ჩით, თოფით, შშვილდ-ისრით, შუბით და სხვა ხელმისაწვდომი ია-
რალით; ფერდალები პასუხს აგებდნენ მეფის წინაშე თავის მრევ-
ლის სამხედრო ფიზიკურ მომზადებაზე, რომელიც მშვიდობიან
დროს ძირითადად ხალხური თამაშებისა და ვარჯიშების გამოყე-
ნებით უნდა ეწარმოებინათ², მათ ბრძოლის დროს უნდა გამოყე-
ვანათ კარგად გაწვრთნილი ლაშქრის გარკვეული რაოდენობა, რო-
მელიც საერთო ლაშქრის ერთ-ერთი შემატებენელი ნაწილი იყო.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში საქართველო არ წარმოად-
გენდა ერთ მთლიან სახელმწიფოს, არამედ იგი დაქსაქსული იყო
ორ სამეფოდ და სამ სამთავროდ. სამეფოებს წარმოადგენდნენ

¹ მ. ვორგაძე, ნარკვეები საქართველოს ფიზიკური კულტურის ისტორი-
იდან, თბ., საბჭოთა საქართველო, 1959, გვ. 57.

² მ. ვაის ურაძე, ქართველი თმაშობანი შერთოთ. თბ., საბჭოთა საქარ-
თველო, 1980, გვ. 18—19. (ჩუს).

ქართლ-კახეთი და იმერეთი, ხოლო სამთავროებს — გურია, სამცხე-ჯავახის რელო და სვანეთი. საქართველოს ამ ყალკე ერთეულებს შორის ჩამოვარდინობა განხეთქილებამ, რაც ხშირად იწვევდა ომებს, მტრების განუწყვეტელმა შემოსევებმა ხელი შეუწყვეს საქართველოს სამეფოს რღვევის პროცესს და დაუძლებულს იგი როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად. ქართველი ერის წინაშე დადგა საქოთხი მისი ყოფნა-არყოფნის შესახებ. მაგრამ XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველო ერთორიწმუნე რუსეთს შეუერთდა და დაიწყო საქართველოს ისტორიის ახალი პერიოდი¹. საქართველოში მშეიღიობიანი ცხოვრება დამკიდრდა. რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველო რუსეთს იმპერიის უზრალო პროვინციად გადაიქცა.

ამ პერიოდისათვის რუსეთს ვააჩნდა თავისი ძლიერი, მუდმივ-მოქმედი არმია, რომლის სამხედრო და ფიზიკურ სიძლიერებიც დიდად იყო დამოკიდებული მეფის თვითმშეკობელური მთავრობის სიძლიერე და მთელი აქცენტი მის სრულყოფაზე, სამხედრო და ფიზიკურ მომზადებაზე იყო გადატანილი, ხოლო ხალხი აღზრდის და ეგრეთვე ფიზიკური აღზრდის ფარგლებს გარეთ რჩებოდა. ქართველი ხალხი, მეფის რუსეთის ძლიერი არმიის შემხედვა-რე, სულ უფრო და უფრო მშეიღებოდა და იყოწყებდა თავის სამხედრო-ფიზიკური მომზადების სისტემას, რომელიც ნელ-ნელა დაცემის გზას დაადგა, მაგრამ ქართველ თავად-აზნაურთა ნაწილმა მიზნად მეფის რუსეთის არმიაში სამსახური დაისახა. იმ პერიოდში მეფის რუსეთის ოფიცირის მუნიცირის ჩატარებულ საქმედ ითვლებოდა. მომავალი ოფიცირებისაგან კი მეფის რუსეთს არმია მოთხოვდა კარგად დახელოვნებულ ცხენოსნებს, მსროლელებს, მოფარისეებებს და სხვა სამხედრო-ფიზიკურ სახეებში დახელოვნებულ კაღრებს. ეს გარემოება აიძულებდა თავად-აზნაურთა გარკვეულ წრეებს, არ მიეტოვებინათ ხალხური ვარგიშებისა და თამაშობების გამოყენებით ფიზიკური წრეთნა, რომელიც ფიზიკური მომზადების ერთ-ერთ ძველ, მამაპაპურ საშუალებად რჩებოდა.

საქართველოში სამხედრო-ფიზიკური აღზრდის სისტემის მომ-

¹ ს. შერაზადიშვილი, ფიზიკური აღზრდა პე-19 საუკუნის 60—70-იანი წლების საქართველოს სკოლებში. თბ., საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლიბა, 1957, გვ. 5.

ლომ და ხალხური ვარჯიშებისა და თამაშობებისადმი სიყვარულის
განელებამ გარკვეული შემფოთება გამოიწვია მოწინავე საზოგადო
დოების ერთ ნაწილში: ამ მხრივ ტიპურია ქართველი ხალხისად-
მი გაზეთ „დღიობას“ მოწადება, რომელშიც ვეითხულობთ: „ვი
მედოვნებოთ, რომ ჩვენი ნაციონალური დღესასწაულები ხელახ-
ლივ თელიან თავისი ბრწყინვალების და დარბასლობის ხარისხზე-
და. ნამეტურ ახლა, როდესაც საყოველთაო ჯარში სამსახური შე-
მოღებულია რუსეთში და საგულისხმოა, რომ ჩვენც გავალთ ჯარ-
ში, სასირცხო არ არის, რომ ქართველმა კაცმა განსხვავებული
სამხედრო ნიჭი და გამოცდილება არ გამოიჩინოს... განა ჩვენს
ხალხს თოფის და იარაღის მოხმარება სასწავლებლად უნდა გაუხ-
დეს? მაშინ რაღა ფასი ექნება, რომ ჩვენ დიდებული და გმირი
წინაპრების შთამომავლობა ვართ? სრულიად არაეითარი“¹.

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ფეოდალური წყობილება სა-
ქართველოში შეირყა. იწყება სამრეწველო კაპიტალიზმის განვითა-
რების აქალი ერა. ჩნდება ახალი საზოგადოებრივი კლასები, სამ-
რეწველო ბურჟუაზია და ქალაქის მუშები, სამრეწველო პრო-
ცეტარიატი. ქალაქად სულ უფრო და უფრო რთულდება დაბალი
კლასის — სამრეწველო პროლეტარიატის სოციალურ-ეკონომიკური
და კულტურული პირობები. მუშები იძულებული არიან 12—16
საათი იძუშაონ ფაბრიკა-ქარხნებში, რათა თავიანთი ცოლ-შეილი
გამოკვებონ. პატარა ბავშვებიც იძულებული ხდებიან მშობლების
დამამახარებლად გარევეული მსხვერპლი გაიღონ და სულ უფრო
ღრმად ეფლობიან აუტანელი შრომის ჭაობში. შრომისა და საყო-
ფაცხოვერებო პირობების ფაუარესებამ გამოიწვია სამრეწველო
პროლეტარიატის და გლეხობის ფიზიკური მდგომარეობის გაუ-
არესება.

ამ ფაქტთან დაკავშირებით, უურნალ „განათლების“ ერთ-ერთ
პეტლიკაციაში მინიშვნებულია შემდეგი: „ძეელებური წესწყობი-
ლება და ჩვეულება საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ
მალე მოისპო. საქართველო დაადგა ახალ ცხოვრებას. აუკილებე-
ლი შეიქმნა სალითათების გაუენა და მათი ყაზანმებში და უცხო-
და ციც აღვილებში ცხოვრება. მუშა მირეწველობამ და სახლში სი-
ეიჭროვებ და სიღარიბებ ქარხნებში შედენა ხალხი. ამ ახალმა შე-

¹ გას. „დღიობა“, 1874, № 434, გვ. 1.



უჩვეველმა ცხოვრების პირობებში შექმნა ჩვენში მეტი დასუსტება და დაავადება აღმიანისა¹. კვლავ დადგა საყითხი საკოლონ და სკოლისგარეური ფიზიკური აღზრდის საჭიროებისა. მაგრამ ამისა-თვის საჭირო იყო ფიზიკური აღზრდის განვითარების თეორიული საფუძვლების შექმნა. იმს გამო, რომ ამ პერიოდისათვის გარკვეული სუბიექტური და ობიექტური მიზეზებით ვერ ხერხდებოდა სხვადასხვა სპეციალური მეცნიერული ლიტერატურის ცალკე გამოცემა წიგნებად, ამიტომ გასული საუკუნის 60-იანი წლების პერიოდითადად უურნალებისა და გაზეთების სახით რჩებოდა ერთ-ერთ ძირითად წყაროდ, სადაც შექდებოდა სხვადასხვა მეცნიერული შეხედულებები ლიტერატურაში, ისტორიაში, ფიზიოლოგიაში, მედიცინაში, ფსიქოლოგიაში, ხელოვნებასა და სხვა დარგებში, რომელებიც თანადათან მეცნიერულ სისტემად ყალიბდებოდნენ.

სწორედ გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართული პრესის ფურცლებშე იქმნება ქართული მეცნიერული პედაგოგიკა და მასთან მთელი სისტემა შეხედულებებისა ფიზიკური აღზრდის საკითხებზე². ფიზიკური აღზრდა ამ პერიოდისათვის ძირითადად ხალხური ვარგიშებისა და თამაშების გამოყენებით ხორციელდებოდა³. ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ ჩამოყალიბებული ცალკეულ კლასიკური სპორტის სახეებად, რომლის თავისებურებასაც ვიწრო სპეციალიზაცია სპორტის არჩეულ სახეში, შედეგების სისტემატური გაუმჯობესება და შეჯიბრებაში მონაწილეობა წარმოადგეს. მათ არ ჰქონდათ სპორტისათვის დამახსიათებელი მეცნიერებლის განსაზღვრული შეჯიბრების დროის რეგლამენტი, მოთამაშეთა რაოდენობის სიზუსტე, მოვლნის ზომების ზუსტად დაცვა, მსაკობა მოედანზე და სხვა შესები. საქართველოში კლასიკური სპორტის ჩა-

¹ ერნ. „განათლება“, 1915, № 10, გვ. 688.

² თ. ქინგლაძე, ქართული პრესის საგანმანათლებლო პროგრამა, თბ., განთლება, 1966, გვ. 3.

³ ა. ციბაძე, ფიზიკური აღზრდის მეცნიერული თეორიის ჩამოყალიბება საქართველოში, თბ., განათლება, 1982, გვ. 3.

⁴ ა. რობაჭიძე, ქართული ხალხური სპორტის შესახებ, თბ., პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება, 1965, გვ. 12.

⁵ შ. შერაზაძე ვალი, საკითხები ფიზიკური აღზრდის ისტორიიდან, თბ., საქონა საქართველო, 1965, გვ. 15.

⁶ ე. ელაშვილი, ხალხური მოძრავი თამაშები აღზრდის სამსახურში. თბ., ცოდნა, 1985, გვ. 14.

მოყალიბება და განვითარება (ზოვიერთი სპორტის სახეობის განვითარების მოულებით) ძირითადად XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება¹. რევოლუციამდელი ქართული პრესის ფურცლებშე კა ასახულია ქართული ხალხური ცარგიშები და თამაშები როგორც ფიზიკური აღზრდის ერთ-ერთი საშუალება, რომელიც შემდგომში განვითარდება, დაიხვეწნენ და ქართული კლასიკური სპორტის საფუძველებად იქცნენ, მაგრამ თუ შედარებით კარგადაა შესწავლილი რევოლუციამდელი ქართული პრესის შეხედულებანი ახალგაზრდა თაობის გონიერივი, ზნეობრივი, ესთეტიკური და შრომითი აღზრდის საკითხებზე, იგივე ორ შეიძლება ითქვას ფიზიკური აღზრდის მიმართ, კერძოდ კი ფიზიკური აღზრდის ერთ-ერთი საშუალების, ხალხური თამაშებისა და ვარგიშების შესახებ. არა განსაზღვრული მისი ადგილი და როლი საერთო აღზრდის სისტემაში, მისი გულენა ახალგაზრდა თაობის გონიერივი, ზნეობრივი, ესთეტიკური და შრომითი აღზრდის საკითხებზე. მართალია მეცნიერთა ერთი ჯგუფი (პროფ. ქ. სიხოულიძე, პროფ. ვ. ელაშვილი, დოკ. ნ. შიმნაშვილი) იდელებს ქართული ხალხური თამაშების და ვარგიშების არსა, და ბუნებას, მაგრამ ეს კელევა ძირითადად ეთნოგრაფიულ ხასიათს ატარებს. მეცნიერთა შემორჩენილი აღზრდის საშუალებების პრაქტიკულ მხარეს, კერძოდ მათი დანერგვის საკითხს საქართველოს სასწავლო დაწესებულებებში, ხოლო მესამე ჯგუფი (პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ა. კიბაძე) იკვლეულს, ფიზიკური აღზრდის იდეების, როგორც თეორიული ცოდნის ერთი მთლიანი სისტემის შექმნისა და შემდგომი განვითარების საკითხის დაღვენს, სადაც გარკვეული ნაწილი იდეებისა აღზრდის შესახებ, ქართული ხალხური თამაშებისა და ვარგიშების შესწავლის შედეგად გამომდინარეობენ. აქედან გამომდინარე საკითხის საფუძვლიანად შესწავლისათვის საჭიროა განსაზღვრა იმისა, თუ რა ადგილი ეკავათ მათ ქართულ პედაგოგიურ აზროვნებაში, რა

¹ მ. გორგაძე, ნარკვევები საქართველოს ფიზიკური კულტურის ისტორიაში, თბ., საბჭოთა საქართველო, 1959. გვ. 72.

სურა ერმოდა საფუძველი, „მართველი, საქართველოს სსრ განთლების სამინისტროს სამეცნიერო-პედაგოგიურ უურნალ სკოლა და ცხოვრების უკვეთ კეარტალურ დამტებას, თბ., საქართველოს ცენს გამოშუბლობა, 1988, № 1, გვ. 42.

როლს თამაშობდა იგი ქართული პედაგოგიის, როგორც მეცნიერების ერების სრულყოფასა და გამდიდრებაში, საერთო აღზრდის საკითხებიდან გამომდინარე.

სასკოლო ცხოვრებაში ამ თვალთახედვით გადაღგმულია პირველი ნაბიჯები (დოკ. 6. შიშნიაშვილი, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი გ. კახიძე), სადაც განისაზღვრა ხალხური თამაშებისა და ვარჯიშების ადგილი და როლი, კომუნისტური აღზრდის პრინციპებიდან გამომდინარე, მაგრამ თანამედროვე პირობებში, სადაც მიმდინარეობს სახალხო განათლების სისტემის გარდაქმნა, რომელ-შიც წითელ ხაზად გასცევს საშუალო და უმაღლესი სკოლის ერთიანობა, საკითხის საბოლოო შესწავლისათვის და სრულყოფისათვის გასარტვევი რჩება, თუ რა ადგილი უნდა დაეთმოს ხალხურ თამაშებსა და ვარჯიშებს უმაღლესი სკოლის ცხოვრებაში, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხისა და ეფექტურობის ამაღლების მიზნით, ისტორიული გამოცდილების საფუძველზე, რა როლი უნდა მივაკუთვნოთ მათ უმაღლეს სასწავლებელში, საერთო აღზრდის პრინციპებიდან გამომდინარე.

ქართველთა ყოფა-ცხოვრებაში ხალხურ თამაშებსა და ვარჯიშებს მნიშვნელოვანი ადგილი კვირათ, „ხანგრძლივი ბრძოლისა და ოჯახის მოშორების შემდეგ, ქართველი მთელის არსებით მიეცემოდა ლხინს, ამაში პპოვებდა სხვათაშორის, მოსვენებას, შევძლე, აღმაღლებდა საუკეთესო თვისებებს, ჩვენი ძველებური ლხინი ნამდვილი პოეზია იყო... ლხინს მოსცდევდა სამხედრო ვარჯიშობა: მიზანში სროლა, ყაბახი, ჯირითი, ბურთაობა და ცხენის თამაში“¹.

ლხინის ცნებაში ძირითადად სახალხო და რელიგიური დღე-სასწაულები იგულისხმებოდა, რომლის ძირითად პროგრამას სწორედ სპორტული გამოსვლები ავსებდა. გამოჩენილი ქართველი მწერალი მ. ლომიური (გაზეთ „დროების“ 1876 წლის № 11-ში) დღე-სასწაულების შესახებ წერს: „დღესასწაულები აშორებდნენ ჩვენ საწყალ ტვინს უსიცოცხლო და უშინაარსო სახელმძღვანელოებით შევიწროებას, დასუსტებული მეხსიერება, დაქანცული გონება და ჯანი ეღირსებოდნენ ხოლმე ამ დროებაში მოსვენებას“². სახალხო და რელიგიური დღესასწაულების სიმრავლე, სადაც გადმოცემულა

¹ გან. „დროება“, 1885, № 197, გვ. 2.

² გან. „დროება“, 1876, № 11, გვ. 1.

იყო მამაპაპური ხალხური ზეჩემეულებები, დიდ დახმარებას უწევდა ერს მისი კულტურული, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების სწორად წარმართვაში. ქართველთა ყოფაში დღესასწაულებისა და მისი ძირითადი პროგრამის აღწერას, ფართოდ ვხვდებით რევოლუციამდელი ქართული პროგრესული პრესის ფურცლებზე. პ. უმიჯაშვილი ყველიერის დღესასწაულის შესახებ განხეთ „დროებაში“ წერს, „ყველიერის კვირა, სალბინო კვირაა მთელ საქართვისანო ქვეყნებში. მასხარობა, თამაშობა, ცეკვა, დაცინვა (მხიარულება — გ. ქ.), საკრავი, ჭრელი ტანისამოსი, თვალთმაქცობა (ილუზიონისტობა — გ. ქ.), მუშტი-კრიკი, ტუულიო ომი და სხვა სახალხოთ, საჯაროთ დროს გატარება გათქმულია“¹. ალავერდობის შესახებ ვვაჩვდის ცნობას განხეთ „დროებაში“ ანთინიმი ავტორის მიერ დაბეჭდილი წერილი: „ალავერდობის დროს ყველაგვარ შექცევას ნახავ აქ: ჭიდილი, კრიკი, ჭირითი, შარი, სიმღერა, თოფის სროლა, შუშხუნები ულეველია“². „საზოგადოთ რომ ესთქვათ, ფერისცალობა ავრე რიგად ვერაფერი დღეობაა, მხოლოდ ეს არის, რომ ჭიდაობა კარგი სცოდნია, თვით რუსისელები განთქმულნი არიან ამ საფალავნო ვარჯიშობაში, ასე რომ შიდა ქართლში მაგათ ვერავინ დაპერავს ჭიდაობაში“³, — წერს სოფრომ მგალობლიშვილი ფერისცალების შესახებ. შობის დღესასწაულის პროგრამის აღწერას ვვაძლევს ო. ბერიძე. „შობის ღამეს, ოჯახის წევრები ვისაც თოფის სროლა შეუძლიან, ვამოდიან გარეთ, — ისინი თან ვამოიტანენ თოფებს და დამბაჩებს, აანთებენ წმინდა სანთლებს, რამდენი თოფი აქვთ და მიანთებენ ხეზე და ას ნაბიჯის მანძილზე ესვრიან თოფებს და იმ სანთელს ვააქრობენ ტყვიის მორტყმით. იმ ბერელში იქნება მოხდეს ისრეთი მაგალითი, რომ ვინემ დააცილოს თოფის ტყვია სანთელსა; ის კაცი მეორე ახალ წლის მოსვლამდის თოფს ხელს აღარ მოჰკიდებს, მერე ნიშანში სროლა დაიწყება; დიდები თოფს ესვრიან, ბალები ისარს, ისრის სროლა ბალებმა მარჯვედ იციან, რადგანაც მათი სავარჯიშო იარაღი შვილდ-ისარია და დიდებმა კიდევ თოფის ხელი ხომ უფრო გარგად იციან“⁴.

¹ გაბ. „დროება“, 1880, № 49, გვ. 1.

² გაბ. „დროება“, 1880, № 204, გვ. 2—3.

³ გაბ. „დროება“, 1884, № 236, გვ. 1—2.

⁴ გაბ. „დროება“, 1869, № 1, გვ. 1—2.



ჩვენ აქ ნაწილობრივ მოვიყვანეთ მაგალითები საქართველოში გაერცელებული სახალხო და რელიგიური დღესასწაულებისა, რომლის პროგრამის ძირითად ნაწილს, როგორც ენახეთ, სპორტული გამოსვლები შეადგენდა. ხოლო სპორტული გამოსვლები ძირითადად ხალხური თამაშებითა და ვარჯიშებით ისახებოდა. საკითხის უფრო ღრმა შესწავლის მიზნით, საკიროა უფრო ფუნდამენტურად შესწავლილ იქნეს რელიგიული პროგრესული პრესა და დაზიანდეს ყველა ის რელიგიური თუ სახალხო დღესასწაული, რომელიც იმ დროს იმართებოდა. ეს საშუალებას მოვცემს უფრო სრული წარმოდგენა ვიქონიოთ იმ დროს გაერცელებული ხალხური თამაშებისა და ვარჯიშების შესახებ. მაგრამ, როგორც იქვევა, ხალხური თამაშები და ვარჯიშები იმართებოდა არა მარტო სახალხო და რელიგიურ დღესასწაულებზე, არამედ კვირაობითაც და უქმედლებშიც. ამის შესახებ ცნობას გვაწვდის ზაზეთ „დროების“ თანამშრომელი კოწია მაჭავარიანი. „კვირაობით და უქმედლებით იქრიბებიან ყმაწვილები ვაკე მინდორზედ ხშირფოთლებიან ხეების ქვეშ და აქ რომელიმე გამოაცხადებს ბურთის თამაშის დაწყების საათს“¹. ამასვე ამტკიცებს გაზეთ „დროებაში“ 1864 წელს დაბეჭდილი წერილი, სადაც ანონიმი ფრთხილი გვამცნობს: „ამას წინათ ქუთაისის ერთს-ერთს თავისუფალს (კერძო) მოედანსხდა, სადაც თითქმის ყოველ კირა უქმედლებით ბურთის თამაში იმართება, ჩვეულებრივ შეიკრიბა მშრომელი ახალგაზრდობა“².

გასული საუკუნის 60-იან წლებში, სხვა უკვე ცნობილი ხალხური თამაშებისა და ვარჯიშების გვერდით, თოფის მიზანში სროლა, შევილდოსნობა, ჯირითი, ბურთაობა და სხვა, ერთ-ერთი წამყვანი ადგილი კრივს ეჭირა. კრივი ისევე როგორც სხვა თამაშები, ძირითადად სახალხო, რელიგიურ დღესასწაულებზე და კვირა დღეებში იმართებოდა. მასში მოსახლეობის ფართო მასები იღებდნენ მონაწილეობას და ფიზიკური აღზრდის ერთ-ერთ კარგ საშუალებად ითვლებოდა. კრივში მონაწილეობას იღებდნენ როგორც ბავშვები, ასევე მოზრდილებიც. ამის შესახებ გვამცნობს გაზ. „ივერია“ 1886 წელს. „გუშინწინ, 27 აპრილს ქალაქის ბიჭებმა ძველებური კრივი გამართეს ასენალის ხევში. ორ რაზმად გაიყვნენ — ზემო

¹ გაზ. „დროება“, 1885, № 12, გვ. 2.

² გაზ. „დროება“, 1884, № 222, გვ. 2.

და ქვემო უბნებად. ჯერ პატარებს დააწყებინეს, 10—12 წლის გამართების წვილებს დიდების გასამხნევებლად და შემდეგ დიდებიც გაუმ-კლავდნენ ერთმანეთს¹! კრიფის გამართვის დროს ქართველი ერთ კომპლექსურად წყვეტილა სამხედრო-ფიზიკური მომზადების საკი-თხებს. მასში მონაწილეებს გამოუმუშავდებოდათ ძეგლი საჭირო ფსიქო-ფიზიკური თვისებები, როგორიცაა ძალა, სისწრაფე, მტრა-ნობა, ლოგიკური აზროვნება, კოლექტივიზმის გრძნობის განვითა-რება, უცნობ სიტუაციაში სწორი ორიენტაცია და ა. შ. რაც მეტად საჭირო იყო სამხედრო საქმეში. ქართველი პებლიცისტი ს. ხუნ-დაძე კურნალ „ივერიის“ ფურცლებზე ავეიშეტს კრიფის ჩატარების რიტუალს, რომელიც ყენობის დღესასწაულზე იმართებოდა, სა-დაც ნათლად სჩანს, რომ მოკრიცებს, მარტო კარგი კრიფის ცოდ-ნისა და ფიზიკური მომზადებისა, სხვა მორალურ-ნებელობითი, ინ-ტელექტუალური, სამხედრო საქმისათვის საჭირო თვისებებიც ესა-ჭიროებოდათ. „კვირა დილით გაიმართებოდა მოლაპარაკება მოწინა-აღმდეგეთა შორის. გზავნილნენ დესპანებს ანუ მოციქულებს, რომ-ლებიც ყენის ბრძანებით მოითხოვდნენ წინააღმდეგ მხარისაგან ხარქს ან დამორჩილებას, ამ შემთხვევაში ორივე მხარე ხმარობ-და სხვადასხვა ცბიერებას და ხრიკებს. ჩვენი ყენი წინ მიღიოდა ცხენით: იმას გარშემორტყმული ჰყავდა თავისი წარჩინებული პი-რები და მის წინ მიქვინდათ ბარიალები, ყოველ ქუჩიდან თითო რაზმების თავში მოღიოდნენ საზანდაზნი და უკრავდნენ ზურნაზე, დაფლაფზე. მომღერლები საკრავთა ხმაზე მღეროდნენ სამხედრო სიმღერებს. მოშაირენიც ხმას ყოლებდნენ წინწილებს და მოუთხ-რობდნენ ხალხს წარსული დროის გზირების ღვაწლსა და სიმამა-ცეს.

როცა გამოვიდნენ ქალაქს გარედ, მებრძოლში იქერდნენ იმ სტრატეგიულ პუნქტებს, საიდნაც ფაქტობდნენ მეორე დღეს ომის დაწყებას, ორივე მარტლი მხარეები დაბანაკდებოდნენ პირსპირ. ამავე დროს არ ივიწყებდნენ არც სამხედრო თაობირს და თადა-რიგს: არჩევდნენ თავშესაფარს ან თავს დასასხმელს აღვილებს, ცდილობდნენ შეეტყოთ ჯაშუშების შემწეობით მტრის განკარგუ-ლება, რაღვანაც ვანმექრივეთა სახელები ყველამ იცოდა, ამისათ-ვის ძლიერ საჭირო იყო ცნობების შექრება, რომ სცოდნოდათ —

¹ გაზ. „ივერია“, 1886, № 92, გვ. 2.

ეისთვის რამდენი ჯარი ჩაებარებინათ და ვინ საითენ გაეცხავ-
ნათ¹. ყენობის ამ რიტუალის ჩატარება კარგად, დადგებითად
მოქმედებდა ხალხის ფსიქოლოგიურ მხარეზე, რომელიც თავის-
თავად გაეღენას ახდენდა მათ ზნეობრივ თემასებებზე.

ქართველი კაცი თავისი ისტორიული წარსულიდან გამომდინა-
რე, თავიდანვე დაუმევობრდა ცხენს. ცხენოსნობასა და იარაღის
კარგად ხმარებაზე ბევრად იყო დამოკიდებული სამშობლოს ბედ-
ილბალი და მეომრის სიცოცხლე. კარგი ცხენის ყოლა, მასზე კარ-
გად ჭრომა დიდ ფაქტობად ითვლებოდა. ამან გამოიწვია იმის აუ-
კილებლობა, რომ პატარაობიდანეე შეჩეკოდნენ ცხენს და ცხენოს-
ნურ სახეობებს, ხოლო პატარაობაში შეჩეკულნი და დახელოვნე-
ბულნი კი მოზრდილობაში უფრო რთულ, ფიზიკურად და ფსიქო-
ლოგიურად ძნელად ასატან შეჯიბრებებშიც იღებდნენ მონაწილე-
ობას². გ. ვიკინაძე გაზეთ „დროების“ ფურცლებზე ამის შესახებ
წერს: „თუ შემავა-ქისტებს ცხენები ჰყენდათ და საშინელი ჭრომა
და ჭრება სცოლნიათ; მეტის-მეტი ლამაზი ხალხიც ყოფილა“³.

იყო ხალხური თამაშების და ვარგიშების ზოგიერთი სახეობა,
რომელიც წყლის წინააღმდეგობის დაძლევასთან იყო დაკავშირე-
ბული (ლელო, მარულა, დოლი და ა. შ.), იმ მიზნით, რომ ამ წი-
ნააღმდეგობას თამაშის დროს ხელის შემშლელი ფაქტორის როლი
არ ეთამაშა და თამაშის შედეგზე უარყოფითი გაელენა არ მოეხ-
დინა, თითოეული მოთამაშე ცდილობდა მა ხარების შევსებას და
ცურვაში დახელოვნებას. დავით ბაჩაბიშვილი 1871 წლის გაზეთ
„დროების“ კორესპონდენციაში გავირვებული წერს თავის ნანას: „ერთმა იმათგანმა მაშინათვე გაიხადა ტნისამოსი და გადაევლო
წყალში: ჩაიყურუუმალავა და ერთს კლდეში შეძერა ნახევრობამ-
დის, ჩერენ არ გვენახა, რომ ის კაცი თვალგანხელილი წვავოცით და-
ეძებდა თევზებსა“⁴.

ზემოდან გამომდინარე, ნათლად ჩანს, თუ ქართველთა ყოფა-
ცხოვრებაში, პიროვნების ფიზიკური განვითარებისათვის ქართვე-
ლებს რა მრავალფეროვანი ხალხური ფიზიკური აღზრდის საშუ-

¹ ცურნ. „ივერია“, 1885, № 1, გვ. 89.

² ა. მაისუ რაძე, ქართული თამაშობანი ბურთით, თბ., საბჭოთა საქართველო, 1980, გვ. 19 (რეს).

³ გაძ. „დროება“, 1879, № 212, გვ. 1.

⁴ ივევ.

ალებები გააჩნდათ. ორსებობს კიდევ სხვა სამეცნიერო და ისტორიული ული წყაროები, რომელთა შესწავლით და კრიტიკული ანალიზის ვაკეთების საფუძველზე საჭიროა მოხდეს შეცხმა და სრული წარმოდგენა XIX ს-ის 60-იან წლებში გავრცელებული ხალხური თამაშებისა და ვარჯიშებისა, რომელიც მიზითადად სრული ხდებოდა სახალხო და რელიგიურ დღესასწაულებზე. მმ დღესასწაულებზე კი კომპლექსურად ხდებოდა და წყდებოდა მოსახლეობის სამხედრო-ფიზიკური, ზნეობრივი, გონიეროვი, ესთეტიკური აღზრდის საკითხები. წარმოებდა მამა-პაპათა დავიწყებული დადებითი ზნეჩვეულებების აღდგენა და გადახალისება, რომელთა სწორი, მიზანმიმართული ფორმით მიტანა მოსახლეობისადმი, საფუძველი ხდებოდა მათი ფიზიკური და სულიერი სიძლიერისა. ამას გრძნობენ ქართველი განმანათლებლები და საზოგადო მოღვაწეები, კერძოდ კი, გაზეთ „დროების“ რედაქტორი სერგეი მესხი, რომელიც მიუთითებდა დღესასწაულების და დღეობების სარგებლიანობის შესახებ: „ერთი სასაჩვებლო მხარე აქვს ჩვენს დღეობებსა, რომ ავიღებენ ხალხსა და აჯირითებენ ცხენებსა, ყისაც არ ესმის მნიშვნელობა ჭიდაობისა და ჭირითობისა ან ჩვენებური დოლასა, დასცინიან და მეტადრე ჭიდაობას; მაგრამ ვინც კარგად ჩაკვირდება საქმესა, ესენი ჩვენთვის ღიღი საჭირონი არიან. ნეტავი ღმერთმა ჰქნას, რომ ამ დღეობებშია ქალაქივით კრიფიც იმპროტოდეს. სამსცემებელებიდან: ჭიდაობიდან, ცხენების თამაშობებიდან და კრივიდან, მონაწილენი ამ საქმეში მაგრდებიან და განმტკიცდებიან როგორც გულითა, ეგრე სხეულითა“¹.

ხალხური თამაშებისა და ვარჯიშების მიმართ არც სამღვდელოების წარმომადგენლები იყვნენ გულგრილად განწყობილები. იმ პერიოდში ისინი ნათლად ხედავდნენ ხალხური ვარჯიშებისა და თამაშების საჭიროებას, რაღაცაც, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, შემოჭრილი მტერი ანადგურებდა არა მარტო ქართველთა მატერიალური კულტურის ძეგლებს, არამედ მის სულიერი კულტურის ძეგლებსაც. ეკლესიებისა და ტაძრების სახით. ამიტომ სამღვდელოება ყოველნაირად ცდილობდა ხელი შეეწყო ურის ფიზიკური განვითარებისათვის და ჩშირად ამ საქმის თაოსანიც იყო. ზოგიერთი მკელევრის მონაცემებით, ეკლესიის ეზო ხშირად ხალხური

¹ გაზ. „დროება“, 1867, № 35, გვ. 3.



თამაშებისა და ვარჯიშებისაზე განკუთვნილი ინვენტარის შექმნების, ადგილსაც წარმოადგენდა¹. აქედან გამომდინარე, XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ქართული პრესის ფურცლებზე ხშირად ცხვდებით ცნობებს სამღვდელოების დამოკიდებულებაზე ხალხური თამაშებისა და ვარჯიშების მიმართ. მაგ. ი. მეუნარგია განხეთ „დროების“ ფურცლებზე მოვცათხობს, რომ „წირვის შემდეგ ბურთს აკურთხებდა ეკლესიაში უფროსი მღვდელი“². „სამღვდელო თუ სხვა წარჩინებული პირი, ცხენშე ზის და ბურთი ხელში უჭირავს, ეს იწვევს ხალხს საბურთაოლ“³. „დღიდებული, შემინდა გორგი, შენ შეეწიო შენს მრევლს, შენ მიეცი ძალა და ღონე და შეძლება; შენ გაამარჯვებინე აწინდელს ბურთის თამაშში, და ვარდაავდო ბურთი“⁴, და ბევრი ამგვარი აღგილი, რომლებიც მიმობნეულია ქართული პრესის ფურცლებზე. იმის გამო, რომ ზოგიერთი სამღვდელოების წარმომადგენელი ხედავდა ხალხურ თამაშებში და ვარჯიშებში არა მარტო ერთი ფიზიკური განვითარების საშუალებას. არამედ ისინი გრძნობდნენ კიდეც, რომ მისი ჩატარებისა და სწორების პროცესში ხდებოდა ერთი სულიერი გაჭანმრთელების საქმეც. ქართველი მწერალი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ი. გოგებაშვილი ამის შესახებ გვამცნობს თავის რჩეულ პედაგოგიურ თხშულებებში, რომ სასულიერო სემინარიაში, რომლის ინსპექტორიც ის იყო, გერასიმე ქიქოძის მოსვლამდე (ლაპარავია ცნობილ სასულიერო მოღვაწეზე), იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელზე, რომელიც მოღვაწეობდა გასული საუკუნის 50-აან წლებში), სემინარიაში თამაშობებს თვლიდნენ გარდაუვალ ბოროტებად. გერასიმე ქიქოძის დროს კი პირიქით; თვით ინსპექტორი ყოველმხრივ აქტებდა საბაშვო თამაშობებს და საეკვოდ უცტერდა იმ მოსწავლეებს, რომლებიც მათში არ მონაწილეობდნენ. მის დროს სემინარის ეზო ყოველდღიურად, ნასაღილეეს მრავალვარ წესიერ თამაშობათა ასპარეზს წარმოადგენდა. თამაშობან იმართებოდა ვახშმის შემდეგაც ყოველივე ამის შედეგად სემინარიაში შემცირებულა ბავშვთა სათაფუმლო ბიწიერებანი, რაც ძლიერ ყოფილა დამასახურითებელი და-

¹ ჭ. შერაზადიშვილი, საკითხები ფიზიკური აღზრდის ისტორიიდან, თბ., საბჭოთა საქართველო, 1965, გვ. 31.

² გაზ. „დროება“, 1867, № 36, გვ. 3.

³ გაზ. „დროება“, 1885, № 1, გვ. 2.

⁴ გაზ. „დროება“, 1897, № 94, გვ. 2.

ხურული სასწავლებლებისათვის, შემცირებულა დავადებულთა რიცხვი და ამაღლებულა წარმატება!


სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუარესებამ თავის მხრივ უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა ხალხის ცხოვრებაზე. განსაკუთრებით ბატონიშვილის გადავარდნის შემდეგ, სულ უფრო და უფრო იღრძნობა კლასობრივი დიფერენციაცია ხალხის მასებს შარის. კლასობრივმა დიფერენციაციამ, სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუარესებამ, მეფის თვითმმკრობელური რეჟიმის გაძლიერებამ დიდად იმოქმედა ხალხის კულტურულ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ამ პირობების შეცვლამ კარითანალურად შემოატრიალა ხალხის ქცევა, მათი განწყობილება ყოველგვარი დღესასწაულებისადმი და, აქედან გამომდინარე, ხელი შეუშალა ხალხური თამაშებისა და ვარჩიშების შემდგომ განვითარებას, რომელიც ქსოდენ საჭირო იყო ხალხის ჯანმრთელობისა და ფიზიკური სრულყოფისათვის. „საშინელი ხალხის დაცემა მატერიალურ ცხოვრებაში, — შენიშვნა ას „დროება“ — მიზეზია იმ გარემოებისა, რომ ქიზიყის ხალხი ძლიერ დადინარდა, უწინდელი თამაშობა, სიცელქე, ხალისი საზოგადო დღეობების და თამაშობების გამართვა აქ აღარ არის“¹. ა. ფრონელი ამ ფაქტის შესახებ, განხეთ „დროების“ ფურცლებზე შემდეგნაირ ანალიზს უკეთებს: „ეტყობა, ვფიქრობდი მე, ცხოვრების უსამართლობას, ამისთვინაც მიუჭირია თეთრი ბასრი კლანჭები. იმისთანა შედინიერ დღეებს, როგორიც არის შობა, ახალი წელი, ნათლისლება, ჩევნი გლეხი აღარ ეგბება სიამოვნებით უწინდებრივ. სადღაა ჩევულებრივი სიმხიარულე ამ დღეებში, მღერა ქალთა და კაცთა, თამაში, ფერხული, ბურთი და სხვა მრავალი ტრიის გატარება. აღარ არის ძველებური გულ-გახსნილობა, სიწრფელე და სიყვარული, ცუვამ თითქოს ფერი იყვალა, ჩევნ ჩევნს თავს აღარ ვგვართ“². კლასობრივი დიფერენციაციის ფესვები იქრება როგორც სოფლად, ასევე ქალაქებდ, მაგრამ უფრო მკეთრ გამოხატულებასა და პროგრესიონებას ქალაქში განიცდის. ქალაქის წარჩინებული ფენები, მეფის თვითმმკრობელური მთავრობის კულტურის გაელენის ქვეშ მოექცნენ და თავიანთ ეროვნულ, ჭირში და ვა-

¹ ა. გოგებაშვილი, რედაგოგიური ნაწერები, თხზულებანი. თბ., სახელმგმ, 1954, ტ. 3, გვ. 39—40.

² გამ. „დროება“, 1883, № 37, გვ. 2.

³ გამ. „დროება“, 1883, № 37, გვ. 2.

2. გ. ქაფურიძე



რამში გამოვლილ ტრადიციებს, რომლის მაგალითზეც ახალგაზრდა და
 თავაძა იხტდებოდა, თათქმის ზურგი შეაქციეს. ქალაქში მანქუფაქტურულმა წარმოებამ გააღმავა მშრომელი კლასის ჩავრა და
 თავისუფალი დრო მათ თათქმის მინიმუმამდე შეუზღუდა. გადა-
 გვარდა ყოველივე დადგებითი ტრადიცია და მსათან ერთად სა-
 ხალხო და რელიგიური დღესასწაულების ჩატარებაც, საღაც რო-
 გორც აღვნიშნეთ, გარეულად იყრებოდა ქართველი პედაგოგები
 და საზოგადო მოღვაწეები და ცდილობენ იმდროინდელი პრესი
 ფურცლებზე ანალიზი გაუკეთონ და დაანახონ მოსახლეობას მისი
 უარყოფითი მხარეები, „მამაპაპური, ხალხური ჩვეულებანი ჩვენს
 ქვეყანაში თანდათან, სხვადასხვა გარემოებათა წყალობით ჰქონდა და
 დრო მოვა, რომ მხოლოდ ზღაპარსავით უამბობდნენ ერთი მეორეს
 ყევნობას და სხვა ამბებს, ჩვენმა დედაქალაქმა ტფილისმა, სულ
 მიივიწყა, თუ მიავიწყებინეს ყევნობა, ბერივაობა, ჭავალონობა და
 სხვანი“¹. — გვაწვდის ცნობას გაზეთი „ივერია“. ამ მოვლენის გა-
 ანალიზებას ცდილობენ ასევე იმდროინდელი ქართული პრესის
 სხვა გამოცემები. კერძოდ, გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე ნიკო
 ხიზანიშვილი აღნიშნავს: „ჯერჯერობით ძველებური მაღლი ისევ
 სოფლად თუ მოიპოვება. დღესასწაულებმა და ხატობამაც მხო-
 ლოდ იქ შეიტჩინა საეროვნო ფერი, თორებ ქალაქ აღილას ყვე-
 ლა სახალხო ჩვეულება გადასხვაფერდა, შეიცვალა და ზოგიც კი-
 დევ განქრა დ მოკვეთა. საღლაა მაგ: საალფონშ ყაბახი, ეს სა-
 მო სანახავი და სავაკეაცი მოედანი“². მაგრამ ქალაქში ძველი
 ტრადიციების მომღევეარნი ჩეჩებიან დაბალი ფენის წარმომადგენ-
 ლები, რომელებიც ცდილობენ თავიათი დასუსტებული ორგანიზ-
 მის გახალისებას, გაჯანმრთელებას და გონების გადახალისებას.
 ისინი, უწინდელ დროსთან შედარებით უფერულად, მაგრამ მაინც
 აწყობენ დღესასწაულებს და ავსებენ მის პროგრამას ხალხური
 თამაშებითა და ვარგიშებით. ამის შესახებ გაზეთი „დროება“ აღ-
 ნიშნავს თავის ფურცლებზე: „დღითი-დღე ჩვენს ხალხს ძველი
 ჩვეულებანი, ძველი გართობა-თამაშობანი, რომელიც ბლომად
 ჰქონდა ყველა დროის შესაფერისი, ავიწყდება, ანუ აღა მო-
 დევს, მოპბეზრდა თითქო, მდაბიო ხალხში კიდევ დარჩა ზოგიერთი

¹ გამ. „ივერია“, 1893, № 39, გვ. 3.

² გამ. „ივერია“, 1894, № 82, გვ. 1.

ჩვეულებანი და სხვა და სხვა გართობა თამაშობანი, ესრეთ წოდებულ მაღალ ხალხში კი ყოველგვარი ზნე ჩვეულებანი, ყოველ გვარი გართობა-თამაშობანი ოღონიფხრა 1. ოვარც ზემოთ აღვნიშნეთ, წარჩინებული ფერის წარმომადგენლები, მეფის თვით-მაყრობელური მთავრობის გავლენის ქვეშ მოექცნენ. მათი გართობის ძირითად სამშალებად, რუსეთიდან შემოჭრილი უსარგებლო თამაშები რჩება. ქართველი განმანათლებელი და საზოგადო მოღვაწე სერგეი მესხი გამოიტანა „დროების“ ფურულებზე ცდილობს ხალხს გააცნოს წარჩინებული ფერის საქმიანობა, იგი აღნიშნავს: „წავიდა ის დრო, როდესაც ხალხს, ამ უბრალო ხალხს უდარდელად შეეძლოთ მხიარულება. დადგა მასკარადებისა, ბალებისა, კონცერტებისა და სხვა კეთილშობილური შეეჭყვების დრო. აქაური ქალების პირველი დროის გასატარებელი იყო და ეხლაც არის (თუმცა ნაკლებად) ლოტოს თამაშობა. მაგრამ არც იმათი ქმრები არიან მოწყენილი, საღაც ჩევნი კეთილშობილი და შეძლებული კაცობრიობა ატარებს დროის უმეტეს ნაწილს იარაღაშის თამაშობანია, რომელიც ეხლა მოდაში შემოვიდა“².

სოციალურ-კონონიმიური პირობების გაუარესებამ, მართალია, დიდად იმოქმედა ქალაქის საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაზე, მაგრამ არანაკლებად დაამჩნია თავისი დაღი სოფლის მოსახლეობას. ადრე თუ მთელი სოფელი, დიდი თუ პატარა, აქტიურ მონაწილეობას იღებდა სახალხო და რელიგიური დღესასწაულების ორგანიზაციისა და ჩატარებაში, წლის განმავლობაში ხელოვნებოდა და სრულყოფდა თავის ფიზიკურ თვისებებს, ეხლა იძულებულია ეს დრო, თავის ოჯახის მატერიალურ სიძლიირეს მოახმაროს. ხალხური თამაშის ისეთ სახეობაში, როგორიც იყო ჭიდაობა, რომლის ჩატარების დროსაც სოფლელები თითქმის ყოველთვის ჯანიდნენ ქალაქელებს, ეხლა სიტუაცია შეიცვალა: „ექვსჯერ იყო ჭიდაობა და თითქმის ექვსჯერვე ქალაქის ბიჭებმა დასცეს სოფლელები; არც გასაკეთირველია: ქალაქის ბიჭი ხუთი წლიდან დაწყობილი მუშტი კრიცხა და ჭიდაობას ეჩვევა; სოფლელი კი რა! დღე და ღამე გუთანს ეჭიდება“³. გამოიტანა „დროების“ კორესპონდენტი ა. ფრო-

¹ გან. „დროება“, 1887, № 32, გვ. 2.

² გან. „დროება“, 1868, № 25, გვ. 2.

³ გან. „დროება“, 1878, № 47, გვ. 2.

ნელი კი ცდილობს, თავის მხრივ ანალიზი გაუკეთოს სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაცლენას ხალხური თამაშებისა და ქარჯის შების ჩატარებასა და მასში ხალხის მონაწილეობის მიღებას: „სადღაა ხალისობა, ის მხარულება და მიწევ-მოწევა, რძაც წინეთ ეხებავდით ჩვენში! წინეთ ულვაშიანი კაცი ბურთის თამაშობდა ხოლმე; დღეს ათი წლის ბავშვი შრომისაგან წელშია მოხრილი, სად არის მისთვის მხარულების დრო? რა დროს თამაში და სიმღერაა, თუ ღმერთი გწამს, როდესაც ფუშტის ფული და სხვა მრავალი გადასახადი პირნათლად ცეკვ მოვიშორებია“.

სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ეითარების გამწვავება, თანდათან სულ უფრო და უფრო მეტ უქმაყოფილებას იწვევდა ხალხის მასებში. მეფის თვითმპურობელური მთავრობა, გრძენობდა რა შრომელი ხალხის მიმართ თავისი პოზიციების უსუსურობას, ცდილობდა ხშირი და მსობრივი თავშეყრის ადგილების დაშლას, რომელიც შეიძლებოდა შემდგომ ბუნტში და მეფის წინააღმდეგ გამოსვლებში გადაზრდილიყო. პოლიცია, რომელიც მეფის თვითმპურობელური მთავრობის პოლიტიკის ერთ-ერთი აქტიური გამტარებელი იყო ხალხის მასებში. ყოველგვარ უმანკო თამაშობებსაც კი უკრძალავდა ხალხს. იმდროინდელი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე სერგი მესხი გაზეთ „დროების“ ფურულებზე ოლიშნავს: „წავიდა ის დრო, ათასში ერთხელ ჯირითსა და ჭიდაობას თუ ნახავთ ჩვენში, რომელსამე მიყრუებულ სოფელში, ქალაქების ახლო-მახლო ადგილებში, საცა კი პოლიციის მკლავი მიუწვდება, ამ უმანკო გარჯიშსაც უშლიან“¹. პოლიციის მიერ, არა მარტო ჯირითისა და ჭიდაობის ჩატარება იქრძალებოდა, არამედ, ყოველგვარი თამაშობები იწლედებოდა, რომელიც სახლიდან გამოსკვლასთან იყო დაკავშირებული. „ქუჩებში დესტრიქტი ბურთის თამაშობასაც, თოვლის გუნდის თამაშობასაც გვიშლიან“.— აღნიშნავს გაზეთ „დროების“ ფურულებზე მისი კორესპონდენტი ანჩისხატელი — პ. უმიკაშვილი. მოუხედავად მისა, რომ ხალხურ თამაშებში და ფარჯიშებში მონაწილეობის მისაღებად ხალხი ჭერ კიდევ შეუგნებლად იკრიბებოდა, ინერციით აგრძელებდა თავის მამა-პაპათა ადათ-წესების შენარჩუნებას და პოლიტიკასთან არა-კითარი კავშირი არ ჰქონდა, მაგრამ მეფის მთავრობას მაინც არ

¹ გან. „დროება“, 1879, № 216, გვ. 2.

აშენობდა ეს შექრებები. მისი აკრძალვით იგი ორი კურდღლის ფა-
შერას ლამობდა: ჯერ ერთი, აიერძალებოდა მისთვის საშიშითა და
ყრილობები და მეორეც — შეირყეოდა ხალხის მასების. ორგორც
ფიზიკური განვითარების, ისე ორგანიზაციული მოქმედებების სა-
ფუძვლები. მთავრობის მიერ სახალხო დღესასწაულების დევნამ,
ხალხური თამაშებისა და ვარჯიშების ორგანიზაციასა და ჩატარე-
ბაში ხელის შეშლამ, კვირა და უქმე დღეებში შეჯიბრებების და
სხვადასხვა გამოსვლების აკრძალვამ, წარმოშვა თავისუფალი დრო-
ის ორგორმე გამოყენების პრიბლება, რომელიც, როგორც თვით-
მპყრიბელური რეებით წინასწარმეტყველებდა, ღვინის, არყის სმამ
და ლოთობამ შეავსო. ქართველი პედაგოგები და საზოგადო მოღ-
ვაწეები გრძნობენ რა ხალხის ასეთ გადაგვიჩებას, ცდილობენ პერ-
სის ფურცლების მეშვეობით დროულად ჩაექრიონ ხალხის ცხოვ-
რებაში და უწინდელივით სწორი მიმართულება მისცენ ერის ზე-
ობრივი და ფიზიკური აღზრდის საყითხებს. ქართველი მწერალი
და საზოგადო მოღვაწე სოფრომ მგალობლიშვილი, ეურნალ
„ერის“ ფურცლებზე ცდილობს ამ ფაქტის ახსნას და ანალიზის
გაყეთებას. „ეხლანდელი გლეხობა, თუ კეთილშობილება, კვირა-
უქმებს ატარებს სამიერინოებში, ძველად კი წირვა-ლოცვას რომ
მოისმერდნენ, ხალხი გამოიშლებოდა ეკლესიის გალავანში, ერთ-
მანეთს მეზობლურად სიყვარულით და თავაზით მითვითხავდნენ,
ნასადილებს შეიყრებოდნენ მწვანე მინდოოზე და იყო ბინდამდე
სხვადასხვა სიმღრა, თამაშობა და გართობა. განსაკუთრებით შო-
ბის დღესასწაულებს, ყველიერს და აღდგომის კვირიებს დღის
სიმოვნებით უხედებოდნენ, სხვადასხვა ნაირს გართობა თამაშობას
საზღვარი და დასასრული არ ჰქონდა. ახლა სოფელში არაეითარი
გართობა, თამაშობა აღარ არის, აქა-იქ იმერეთში თუ დარჩენილა
ბურთაობა, უწინ კი ჯერ ხუთ-ექვს ნაირი მარტო ბურთაობა
იყო“¹.

სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარებით გამოწვი-
ულმა შედეგებმა, უშუალოდ იმოქმედებს ხალხის ფიზიკურ მხარე-
ზე, მის განვითარებაზე, რომელიც ხალხური თამშებით და ვარ-
ჯიშებით იწვრონებოდა და იყრებდა მალას. ხალხი მთლიანად და-
ძაბუნდა და ფიზიკურად გადაგვარდა, რასაც ნათლად აღსატურებს

¹ ეურ. „ერის“, 1910, № 21, გვ. 4.



ი. მეუნარგიას წერილი გაზეთ „დროების“ ფურცლებზე, მოთხოვთ
შენი ჯობს „ჯირითის ნიშანში მორტყმის წილ ან თავისსავე უურ-
ზე მორტყამენ, ან ცხენის ყურს პპრეგენ, თუმცა უწინდელსა და
ეხლანდელს თამაშს შეა უდევს დიდი მშოვერი, აღარ არის უწინ-
დელი ჯარობა (დღესაწეულები — გ. გ.) არც დამსწრეთ სიმრავ-
ლით, უეღარ იხილავთ იმ რაინდ ტაიპოსნებს, რომელთა ჯირითობა
იყო ძევალი ცხენოსნობისა, სიკუაფისა და სიმარიდისა; უერ ნახეთ
ფალავნების ჭიდაობას — შესანიშნავ ფიზიკურის ღონისა და ხერ-
ხის შეერთებით, უერ ელიტესებით იმისთვის ბურთაობის ნახეს, რო-
მელშიაც ათიათობობით ვაჟკაცები, ორ მხარეზე დაყოფილი, ჯანის
სიმრთელესა და სიცემიტეს იჩენდნენ. მათს შემხედვარეს მტერს
გული მოუკედებოდა და მოყვარეს სიმოვნების ზღვა გულს მო-
ულობობდა, მართლა ეხლანდელი მოდგმა, ფიზიკურიდ თითქმის გა-
დაშენებული ცდილობს ყოველივე თამაში დღესასწაულებზე ძვე-
ლებურად გამართოს“¹.

გასული საუკუნის 60-იანი წლები ეს ის პერიოდია, როცა მოუ-
ლი რიგი მოწინავე მეცნიერებები თანდათან აღმავლობას განიც-
დიან ქართული პრესის ფურცლებზე; ამ პერიოდისათვის ქართვე-
ლი პედაგოგები, საზოგადო მოღვაწეები და მეცნიერები ცდილო-
ბენ მოვცენ არა მარტო მშრალი მისალა ინფორმაციის სახით,
არამედ ცდილობენ ამ მისალის განალიზებას, მოწინავე საზღვარ-
გარეთელი და თანამემამულე მეცნიერების აზრის განწყობადებას,
მათ მიერ თავითო მისალის გამზიდებას და სრულყოფილი სა-
ხით პრესის ფურცლებზე გაშექებას. ამ პერიოდში მთელი რიგი
მეცნიერებანი აზუსტებენ თავითო საგნის კვლევის სავანს, ობი-
ექტებს, კვლევის მეთოდებს, მიზნებსა და ამოცანებს. დიდ აღმავლო-
ბას განიცდის ქართული პროგრესული პედაგოგიკაც.

ქართული პროგრესული პედაგოგიკის ერთ-ერთი კვლევის ობი-
ექტი ხდება ხალხური თამაშები და ვარჯიშები, რომელიც იმ პე-
რიოდში ფიზიკური აღმრდის ერთ-ერთ საშუალებად რჩებოდა. ეს
დაინტერესება გამოწვეული იყო პიროვნების საერთო, ყოველ-
მხრივი აღმრდით და განვითარებით, რომლის განუყოფელი ხაწი-
ლიც ფიზიკური აღმრდა გახლდათ: „ეხლა განვითარება, განვითა-
რება ზერობითი და გონებითი, — აი საგანი აზალი პედაგოგიისა“¹,

¹ გაზ. „დროება“, 1882, № 74, გვ. 2.

აღნიშნავდა გაზეთი „დროება“ 1884 წელს. მაგრამ ეს განვითარება არ უნდა სწარმოებდეს უმიზნოდ, სტიქიურად. იგი სწორად წარმართულ, გააზრებულ პედაგოგიურ პროცესში უნდა მოქმედეს.

ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე გ. წერეთელი გრძნობს რა სწორად წარმართული პედაგოგიური პროცესის აუკილებლობას პიროვნების ფიზიკურად და სულიერად სწორად ჩამოყალიბების საქმეში, გაზეთ „დროების“ ფურულებზე მიუთითებდა: „უმაწყილს ზეციდან არ გარდომელინება განუდრეკელი ხსიათი, განუკიცხველი ზნე, მაღალი კუთხა და მაგარი სხეული, რომელიც გახდათ მას საუკეთესო კაცად“².

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმდროინდელი ქართველი პედაგოგები ადამიანის აღზრდის საკითხებს განიხილავდნენ როგორც პიროვნების ყოველმხრივი ჩამოყალიბების პროცესს, რომელმიც თანაბარი ფარგლებით უნდა შეზავებულიყო როგორც სულიერი, ასევე ფიზიკური აღზრდა. იმის ნათელი მაგალითია გ. იოსელიანის მიერ გამოქვეყნებული წერილი ჟურნალ „ნობათში“, სადაც იგი წერდა: „ადამიანისათვის საჭიროა ორგვარი აღზრდა: აღზრდა სხეულისა და აღზრდა სულისა, უამისოდ შეუძლებელია იმედი გვქონდეს, რომ ადამიანი ბედნიერი და სრული აჩსება გახდეს... სული და ხორცი ადამიანისა ისე მჭიდროდ შეკავშირებულია ერთმანეთთან, რომ ერთის მათვანის უმეორესოდ გახსნა (ვანვითარება — გ. ქ.) და აღზრდა სრულ აღზრდად ცერ ჩაითვლება და თითქმის შეუძლებელიც არის“³. იმის გამო, რომ ეს პრობლემა კომპლექსურად ვალგრილიყო, ქართველ პედაგოგთა კვლევის ობიექტად, პიროვნების ყოველმხრივ განვითარების თეალსაზრისით, თამაშების ფორმა და შინაარსი გადაიქცა. „რასაკვირველია, რომ ისე ჩვენმა დრომ აღმოაჩინა, თუ როგორ სერიოზულად კვყრობა თვითონ ბუნება თამაშობასა და რამდენად საჭიროა იგი ფიზიკურ, გონებრივ და ზნეობრივ განვითარებისათვის“⁴, — გვამცნობს ჟურნალ „განათლების“ ფურულებზე ქართველი პედაგოგი ლ. ბოკვაძე. თამაშის პედაგოგიური ლირებულების შესახებ, თავიანთ აზრს ქართული პრესის ფურულებზე გამოთქვამენ აგრეთვე სხვა პედაგოგებიც.

¹ გან. „დროება“, 1884, № 180, გვ. 3.

² გან. „დროება“, 1886, № 26, გვ. 3.

³ ჟურნ. „ნობათში“, 1884, № 2, გვ. 33.

⁴ ჟურნ. „განათლება“, 1913, № 1, გვ. 28.

მაგ.: მიხეილ გედევანიშვილი აღნიშნავს, რომ „თამაშობას და გედაგოგიური მნიშვნელობა აქვს, იგი ბუნებრივი და ინსტინკტურის საშუალებაა პრაქტიკულად დახელოვნებაში, თამაშობა უკითხებს ბავშვს კუსა და კუნთების მოქნილობას, რაზედაც დამოკიდებულია შემდეგში წარმატება ინდივიდუალურსა და სოციალურს ცხოვრებაში. ბავშვების თამაშობა კი ყველა ამ მიზანსა და მოთხოვნილებას აქმაყოფილებს“¹.

მართალია, იმ პერიოდისათვის ფიზიკური აღზრდის ერთ-ერთ საშუალებად ფეხს იყოდებს სასკოლო ტანკარჯიში, მაგრამ მისი გამოყენების არასწორი მეთოდები და ორგანიზაცია საქმაოდ დაბალი იყო, აქედან გამომდინარე, მჩავალი მოღვაწე და მათ შორის აკაკი წერეთელიც თამაშების მომხრეთა როლში გამოიიან. „ვიმნასტიკა მხოლოდ ტანჯვაა ბავშვის და სხეულის ჭორვა. სხვა და სხვა ნაწევრებს ადამიანის გვამისას განა ერთი და იგივე მოთხოვნილება აქვს? მე ეგება მარტო ფეხი მინდა ვაკარჯიშო და იმ დროს ხელი შევაცვენო. ყველაფერს თავისი დრო აქვს, და ამ დროს თვითონ ბუნება უფრო უტყუფრად უჩინენებს, გიმნასტიკის დროს კა წინააღმდეგ ჩემის მოთხოვნილებისა, უნდა მხოლოდ სხვის ბრძანებით ვიმოიძრაო... აბა რომელი გიმნასტიკა შეეღრება ბურთაობს — ამბობს აკაკი, ბურთაობის დროს თვალი, ხელი, თავი, ტანი და ყოლიფერი თანასწორად ეჩივეა სიმარტეს“². გვამცნობს ლ. ბოკვაძე აკაკის აზრს თამაშების შესახებ.

აქ მოყვანილი რამდენიმე მაგალითიდან, ჩვენ შეიძლება დავინახოთ თუ რაოდენ დიდ ყურადღებას უთმობდნენ ქართველი პედაგოგები დ საზოგადო მოღვაწეები თავიანთ პრესის ფურცლებშე ადამიანის ყოველმხრივი განვითარების საკითხებს, თამაშების როლს პიროვნების ყოველმხრივი აღზრდის საკითხებში და კონკრეტულად ხალხურ თამაშებსა და ვარჯიშებს, როგორც ერთი ფიზიკური აღზრდის ერთ-ერთ საშუალებას. ერთი ფიზიკური აღზრდის პროცესში, სადაც დაცული იყო პედაგოგიურად სწორად წარმართული პროცესის თანმიმდევრობა, ჩვენი პედაგოგები და საზოგადო მოღვაწეები ხედავენ იმ რაციონალურ მარცვალს, რაც საჭიროა გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური და შრომითი აღზრდის საფუძ-

¹ ეურ. „განათლება“, 1912, № 4, გვ. 250.

² ეურ. „განათლება“, 1909, № 7, გვ. 145.

ვლების ჩაყრისათვის და შისი შემდგომი განვითარებისათვის...
 „ერის სიფხნულისა და საღიანობისათვის (ლაპარაკია ზნეობრივი)
 ნორმების სიწმინდეზე — გ. ქ.) პირველი ადგილი უჭირავს სხე-
 ულის ვარჯიშობას, სხეულის მოძრაობას, მაშინადამე გართობა თა-
 მაშობასაც”¹. — აზუსტებს კლევის ობიექტს პიროვნების ზნეობ-
 რივი აღზრდის თვალსაზრისით პეტერბურგელი სტუდენტი —
 ს. ხუნდაძე უურნალ „ივერიის“ ფურცლებზე და თუ რატომ ხდება
 თამაშების მეშვეობით პიროვნებაში ასეთი თვისებების ჩასახვა და
 განვითარება, მიხეილ სედევანიშვილი ცდილობს ამ მოვლენის
 ახსნას. უურნალ „განათლების“ ფურცლებზე იგი გვამცნობს, რომ
 „ნებას“, მისი დამახასიათებელი, მემკვიდრეობით მიღებული მოძ-
 რაობანი არა აქვს. იგი ბატონობს გამარჯვებისა და გაჩენის უფლე-
 ბით, ამ უსაჭიროეს ფუნქციის განვითარებას ხელს უწყობს მოე-
 ლი რიგი თამაშობებისა². როგორც ვხედავთ, „ნების“ ცნების ქვეშ
 დამალულია დღევანდელი დღისათვის უკვე ცნობილი თვისება,
 კერძოდ კი მორალურ-ნებელობითი, რომელიც მოთავაშებს უშუ-
 ალოდ სასწავლო-საწვრთო პროცესის დროს ჩამოყალიბდება.
 მის ჩამოყალიბებაში ძირითად როლს სწორედ თამაშის წესები ვა-
 ნაპირობებენ, რომლებიც პიროვნებას თამაშების მთავარი ამოცა-
 ნის — ამ მიზნის მიღწევისათვის უკრძალავენ ყველა იმ ხერხების გა-
 მოყენებას, რომლებიც თამაშის დროს შეჯიბრების წესებით არაა
 გათვალისწინებული. შეჯიბრების წესების დაცვის ხარჯზე პიროვ-
 ნებაში მორალურ-ნებელობითი თვისებების ჩამოყალიბების საქმეს.
 ვრცელი წერილი მიუძღვნა ქართველმა პედაგოგმა ლ. ბოცაძემ.
 იგი უურნალ „განათლებაში“ აღნიშნავს, რომ „გონიერი ლტოლვი-
 ლება მოძრავ თამაშობისაკენ, გამოყენებული პედაგოგიურად ხმა-
 რებული, აღმზრდელთა დაუხმარებლად უვითარებს ახალგაზრდო-
 ბას მრავალს პირადს და სოციალურ ძალს. თვისუფლად არჩე-
 ულს სათამაშოებში თითოეული მონაწილე უნდა შეეგუოს და და-
 მორჩილდეს ასპარეზს კეთილშობილურ გაჯიბრებისას ყოველ ცე-
 კაცურს სათნოებაში: სიმარდეში, ძალაში, თავშეკავებაში, სიმტკი-
 ცეში, ამხანაგურ გრძნობაში, სწრაფ და შეგნებულ გადაწყვეტი-

¹ უურნ. „ივერია“, 1885, № 1, გვ. 89.

² უურნ. „განათლება“, 1912, № 4, გვ. 250.

434-ა
სულიერი

ალებაში და საქციელში¹. გაზეთ „დროების“ 1874 წლის № 434-აში, ანონიმი ავტორი ხალხური თამაშებისა და ვარჯიშების შესვეობით, პიროვნების ზნეობრივი აღზრდის შესახებ აღნიშნავს, რომ „ბურთი, ჭირითი, ყაბახი, ჭიდაობა, კრიფი, მარულა და კიდევ სხვა მეგვარი ნაციონალური თამაშობანი საკვირველად მაღლებენ კაცს და ვეონებ ნამეტანი არ იქნება, რომ ესთვეათ: მაღლებენ არა მარტო მის ფიზიკურ მხარეს, არამედ ზნეობასაც². მაგრამ იყო ზოგიერთი ხალხური თამაშებისა და ვარჯიშების სახეობები, რომლების ავკარგიანობაზეც დიდი პოლემიკა იყო გამართული ქართული პრესის ფურცლებზე. მაგალითად, გაზეთი „დროება“ აღნიშნავს, რომ „მარტო ერთი კრიფია ისეთი რამ, რომელსაც ხანდისხან (როცა ქვას აურევენ) შეუძლია ერთის ან ორი კაცის დამარცხება და მიტომ შეიძლება ეს ერთი მხრით მავნებლად ჩაითვალოს³, მაგრამ იგივე გაზეთ „დროების“ ფურცლებზე ავტორთა გარემოული ჯგუფი პირიქით, პიროვნების დადგებოთი თვისებების ჩამოყალიბების საქმეში არ გამორიცხავს ხალხური თამაშების ამ სახეობას. „კრიფში, უმოწყალოდ სცემდნენ ერთმანეთს, მაგრამ მეორე დღეს კი ერთმანეთს ძმურად ხელს ართმევდნენ და ესიყვარულებოდნენ“⁴.

ადამიანის მაღალი მორალური თვისებების აღზრდის თვალთახვეებით ქართველი მოღვაწეები მაღალ შეფასებას აძლევენ ხმლის ხმარებას, მაში დახელოვნებას, რაც თავისთვავად ახლო დვამ ფარიკაობასთან. ქართველი, თავისი ისტორიული წარსულიდან გამომდინარე, ყოველთვის ცდილობდა ფარიკაობაში დახელოვნებას. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მათ ბრძოლა ყოველთვის უბდებოდათ მტრის ჭარბ ძალებთან, საღაც თითოეული კაცის სიცოცხლე რაზი სმით კაცის სიცოცხლეს უდრიდა, თითოეულ პიროვნებას უყალიბებდა ურთიერთობარიცისცემის და ურთიერთგაფრთხილების კრძნობას. ფარიკაობა და ხმალი რჩებოდა ადამიანის მორალურ-ნებელობითი თვისების აღზრდის ერთ-ერთ საშუალებად, რასაც ადამტურებს ნ. ურბნელი (მ. ხიზანიშვილი) თავის წერილ-

¹ ერთ. „განათლება“, 1913, № 1, გვ. 28.

² გაზ. „დროება“, 1874, № 434, გვ. 1.

³ გაზ. „დროება“, 1882, № 69, გვ. 1.

⁴ გაზ. „დროება“, 1885, № 197, გვ. 2.



ში ეურნალ „მოგზაურის“ ფურცლებზე. „ევროპაში ხმლის გარეშემი უმაღლეს წერტილამდე მიეკიდა, თითოეული საქმე, სასისხლო თუ სამოქალაქო, შეიძლებოდა ხმლით გარდაწყვეტილიყო, სულ უბრალო და უმნიშვნელო საჩივარი საქმაო იყო, რომ ხმლისათვის მიემართნათ. საქართველოში ხმალს აქმდე არ მიუღწევდა, ჩვენში ხმალი ადვილად ხელმისაწვდომ იარაღდა არ გარდაქცეულა და უს ვარებოება ცხადად ლალადებს, რომ ქართველი კრძალებითა და მოწინებით ეყყრობოდნენ ხმალს“¹.

ქართული ხალხური თამაშები და ეპურები, რომლებიც ასე მოხდენილად წყვეტილნენ ზნეობრივი აღზრდის მოცანებს და პრინციპებს, მოითხოვდა გარკვეულ ინვენტარს სხვადასხვა თამაშობებისა და ეპურების ჩასატარებლად. ზუსტად ამ პროცესში იგი თითქმის უტომატურად წყვეტდა ოზრდის ერთ-ერთ სახეს, რომელსაც შრომითი აღზრდა ეწოდებოდა. იმ პერიოდში, სანმ ტექნიკურ-ტევლუციური პროცესი დაიწყებოდა, მოთამაშეებს თავის ხელით უწევდათ სხვადასხვა სათამაშო ინვენტარს — ბურთის, შვეიცალ-ისრის, ჩიგნის, შუბის და სხვა დამზადება. ამის შესახებ ფართოდ გვაწვდიან ცნობებს, მასალებს, რომელიც იმდროინდელ პრესაში მოიპოვებოდა. „ზოგიტო !გუბერნიებში, სადაც ბევრი ცხვარი ჰყავდათ, ცხვრის მატყლისაგან შვენიერ ბურთებს აეთებდნენ. ამისათვის ილებენ დაჩეჩილ მატყლის საგრძნობ გუნდას და აწყებენ მის რაც შეიძლება ჭკიდროდ დაგუნდავებს, საქმაო სიმკერივის მიცემის შემდეგ მას აგდებენ ნახევარი საათით მდუღარე წყალში. მდუღარე წყალში მატყლი კიდევ უფრო მკერივდება, ინარჩუნებს მრგვალ ფორმას. ამის შემდეგ კვლავ აგუნდავებენ მატყლს ხელში და აღუღებულ ცხელ წყალში, სანმ ბურთი არ გამაფრიდება ხესავით, რის შემდეგაც სდებენ გასაშრობად. ასეთი წესით დამზადებული ბურთი არაფრით ჩამოუვარდება ტეზინის ბურთებს. ამისთან ფრთად, უაღრესად მსუბუქი და რბილია“. მეტი გამძლეობა აქვს წითელი სმოვეის ბურთს; სმოვეი მავარი ხარის ტყავია, რომელიც დასველების დროს იწელება, მატულობს ფართობი, ხოლო გაშრობის დროს კი იკუმშება და ფართობში საგრძნობლად კლებულობს“. „ლელოს სათამაშოდ იკერებოდა მაგარი ტყავის ბურთი, ჩშირად ძალზე დიდი მოცულობის, რაც იტენებო-

¹ ეურ. „მოგზაური“, 1901, № 1, გვ. 46.



და უმეტეს შემთხვევაში თმით, საქონლის ბალნით, მატყლით, ხელით სით ან ბზით. ბურთის წონა, ზომა და ფერი ნებისმიერი იყო¹. ხალხური თამაშებისა და ვარჯიშების კეთილმყოფელ გავლენას პიროვნების შრომით აღზრდაზე, გვიდასტურებს დ. ბოცვაძეც: „ქართულ სათამაშოებს ბავშვები თავის ხელით იქეთებენ, მაგალითად, ტაფარიეს თვითონ გამოსკრიან ხოლმე, შეიღებულდალს — იქეთებენ (კოდალიისარი), ბურთს თავის ხელით ამზადებენ და ეს შრომა კიდევ უფრო აყვარებს პატარა პატრონს თავის საკუთრებას“².

როგორც ვხედავთ, რეეოლუციამდელ ვტორთა შრომებში მოძრავი თამაშები წარმოადგენს ბავშვთა და მოზარდთა შრომით ჩეკვების აღზრდის ეფექტურ საშუალებას.

ფიზიკური აღზრდა, როგორც რეეოლუციამდელი მოღვაწეები გვიმტაცებენ, შესანიშნავი საშუალებაა ანალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდისათვის. ხალხურ თამაშებში და ვარჯიშებში შრომითი ზნეობრივი პრინციპების მაღალი მოთხოვნილების დაცვით გამოწვეული ვითარება იწვევდა თამაშების სანახაობითი მხარეების ამაღლებას, ეს კი თავისთვად მჭიდრო დამოკიდებულებაში იყო როგორც მონაწილეების, ისე მაყურებლების ესთეტიკური გრძნობების განვითარებასა და ამაღლებაზე. გ. ჯაყობიას აზრით, „თამაში ხელსაყრელია ესთეტიკური აღზრდისათვის, უკვე ფიზიკურის სიმარტეში და სიცევიტეში არის ესთეტიკური რამ, რომელიც უფრო აშეარავდება ხტუნვასა და ცეკვის დროს. თამაში აგრეთვე ხელოვნებაა, და როგორც ისეთი, ის შესამჩნევად შევლის ფანტაზიის გაღიძებას და განვითარებას, მეტადრე მაშინ, როდესაც თვითონ ბავშვები იძულებულნი არიან გააქტონ რაიმე თავიანთი სათამაშოებიდან“³.

როგორც ვიცით, თამაშების შინაგანი ბუნება ძირითადად ავტბულია მის ემოციურ მხარეზე. თამაშის დროს დიდი ემოციური პირობების და დაძაბულობის შექმნის დროს, თავს იჩენს მოზარდის დიდი ფანტაზია. მოზარდის ფანტაზია კი ერთგვარი სტიმუ-

¹ ვ. ი. მაისურაძე, ბურთაობა ფეოდალურ საქართველოში, როგორც მებრძოლთა ფიზიკური მომზადების საშუალება, საქ. სახ. ფიზიკური კლიმატის ინსტიტუტის ხელნაწერთა ფონდი. 1950, გვ. 15—16.

² უცრ. განათლება, 1908, № 7, გვ. 145.

³ უცრ. „განათლება“, 1916, № 3, გვ. 179.

ლია მისი გონებრივი განვითარებისათვის. რევოლუციამდელი ქართველი თეველი პედაგოგები გრძნობენ რა ხალხური თამაშებისა და ვარჯიშების კეთილმყოფელ გავლენას გონებრივ განვითარებაზე, იმდროინდელი პროგრესული პრესის ფურცლებზე გვაწვდიან უამრავ მნიშვნელობას. „უკელა თამაშობას და უფრო ქართულ სათამაშოებს თავისი წესი აქვს, რასაც ბავშვები იცავენ, მაგრამ არც ერთი თამაშობა არ არის ისეთი, რომლის დროსაც ბავშვის ფანტაზია არ მცუშაობდეს... ამ ვამაცოცხლებელ სკოლაში (ლაპარაკია თამაშების მიერ დაგროვილ გამოცდილებათა სკოლაზე — გ. ჭ.), ბავშვი იძენს გამოვლენების ნიჭის, გონება-მახვილობას, გამზღვაობას, აქვე იძენს ბავშვი ზრუნვას საზოგადო ინტერესების შესახებ და განიმსჭვალება მასდამი პატივისურით, აქვე იკვანძება ძმობა-მეგობრობის სიმპატიური კავშირი, აქვე ეჩვევიან წესიერებას, დაკვირვებას, სწრაფა-იზრუნვებას, მესიირების სიმტკიცეს, გონება-მახვილობას, სიმკირტლეს, სიკრცე-სიფართოვებს თვალით განზომებს და სხვა“¹.

ქართული ხალხური თამაშებისა და ვარჯიშების დადგებით გავლენას ერის ფიზიკურ აღზრდაზე, მათ ხასიათში სწორი ზნეობრივი თვისებების ჩამოყალიბებაზე, მის გაულენას გონებრივ, ზნეობრივ, შრომით და ქსოვეტყურ აღზრდაზე, აშკარად ხედავენ ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები. მოწინავე პედაგოგური მეცნიერების შესწავლის, თავიათო გამოცდილების, ცოდნის ანალიზის, გამზოგადების და კრიტიკულად შეფასების ხარჯზე, ექვებან სწორ ფორმებს და მეთოდებს ქართული ხალხური თამაშებისა და ვარჯიშების გამოყენების დროს, პიროვნების კუოველმხრივი, პარმონიული განვითარების და ჩამოყალიბების საქმეში. ქართული პროგრესული პრესის ფურცლებზე მათ წამოაყენეს მრავალი წინადადება, აზრი, მოწოდება ზნეობრივი აღზრდის თვალთახედვით ქართული წეს-ჩვეულებების ოღვენისა და დანერგვის საქმეში, სადაც ერთ-ერთი თვალსაჩინო აღვილი ხალხურ თამაშებსა და ვარჯიშებსაც ეჭირათ. დასახეს გზები და საშუალებები, რომელიც ქართული პრესის ფურცლებზე უხვადაა მიმოფანტული.

თანამედროვე პირობებში, ისევე როგორც სხვა დროს, ასევე წმინდა დღის საკითხი პიროვნების ზნეობრივი და კოველმხრივი აღზრდის შესახებ. ჩვენს ყოფა-ცხოვრებაში სულ უფრო და უფრო

¹ ჟურნ. „განათლება“, 1908, № 7, გვ. 145.



აქტიურად უნდა გამოვიყენოთ ის დიდი ისტორიული გამოცდლებისა, რომელიც შექმნილია პედაგოგიკის განვითარების პერიოდში. და დაუგრძოვებია ჩვენს კაცობრიობას თავისი ცხოვრების პერიოდში. დღევანდელ დღეს ერთ-ერთ ასეთ საშუალებად პიროვნების ყოველმხრივი ოზრობის საკითხებიდან გამომდინარე, რომელიც კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, გვევლინება ხალხური აღზრდის საწყისები, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი ხალხური თამაშებსა და ვარჯიშებს ეჭირათ. თუ შედარებით კარგადაა შესწავლილი ხალხური თამაშებისა და ვარჯიშების ადგილი და როლი სასკოლო ცხოვრებაში, ამას ვერ ვიტვით უმაღლესი სკოლის მაგალითზე, მისი გამოყენება სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში კი აღბათ დიდ ზეგავლენას მოახდენს, როგორც პიროვნების სწორ ფორმირებაზე, ასევე სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის გამდიდრებასა და გამრავალფეროვნებაზე.

ამრიგად, წინამდებარე ბროშურაში, XIX საუკუნის 60-იანი წლების პრესის მსალების ანალიზის ხარჯზე, ერთგვარად შევეხეთ ჩვენი ქვეყნის პედაგოგიკის განვითარების ისტორიას, რომელიც სწორედ იმ პერიოდში იქმნებოდა. ვნახეთ, თუ რა ადგილი ეჭირა ხალხურ თამაშებსა და ვარჯიშებს საერთო აღზრდის სისტემაში, რა ადგილი ეჭირა მას ხალხის ყოფა-ცხოვრებაში, რა დამოუდებულებაში იყო მათ მიმართ სამღვდელოება, რა მიზნებსა და ამოცანებს ემსახურებოდა იყი, რა როლი ეკისრებოდა მას ერთს ფიზიკური აღზრდის სამსახურში.

დასასრულს, საილუსტრაციოდ მოგვყავს რამდენიმე სხვადასხვა ხასიათის ხალხური თამაში, რომლებიც დღევანდელ პირობებში თამამად შევეძლია გამოვიყენოთ როგორც სკოლის, ასევე უმაღლესი სასწავლებლის პირობებში. ზოგიერთი ხალხური თამაში წარმოდგენილია ოდნავი სახეშეცვლილი ფორმით, რომელიც გამოწვეულია თანამდროვე სპორტული თამაშების შინაარსთან, მათი შინაარსის მისაღავებით, რაც წარმოადგენს მეტად ხელსაყრელ საშუალებას ზოგიერთი სპორტული თამაშის შინაარსის განაცნობად, ზოგიერთი ელემენტის დასახვეჭად და შეიძლება გამოვიყენოთ იყი წვრთნის პროცესში, როგორც შუალედური რეოლი სპორტის ამა თუ იმ კლასიკურ სახეზე გადასასვლელად.

ჭაკუნი. თამაშში მონაწილეობენ როგორც ვაჟები, ასევე გოგონებიც. მოთამაშეთა რაოდენობა უნდა განისაზღვროს იმ პი-

რობების გათვალისწინებით, რის შესაძლებლობასაც იძლევა დარღვეული ბაზის ფართის პირობები.

თამაში იწყება გუნდების დაკომპლექტებით, სასურველია გუნდების დაკომპლექტება მოხდეს მოთამაშეთა წონის, ზომის, ფიზიკური მომზადებულობის მაჩვენებლების გათვალისწინებით, ისე რომ, ორივე გუნდი თანაბარ პირობებში იძყოფებოდეს.

თამაშისათვის საჭიროა პატარა ბურთი (მაგალითად დიდი ჩოგბურთის, გარდა ამისა საჭიროა ჯოხები, რომელსაც „ჭავუნი“ ეწოდება. ჩვენს მიერ შემოთავაზებულ თამაშში შეიძლება გამოვიყენოთ ჰიკების ჯოხები).

თამაშის დაწყების წინ მოწინააღმდეგები გაავლებენ ხაზებს მოედნის თავსა და ბოლოში, კედლიდან დაახლოებით 50—60 სმ-ის მოშორებით. ამ ხაზებს „ელო“ ეწოდება. ელოს აღნიშვნა შეიძლება აგრეთვე ჯოხით, ქვით ან რომელიმე პირობითი ნიშნით. ელოს დანიშნულება მოედნის თავსა და ბოლოში შეიძლება კედლებმაც შეასრულონ. თამაშის დროს ელოს გადაკვეთა ან ბურთის კედლებზე შეხება ითვლება ერთ მომენტიან ქულად.

თამაში იწყება მოედნის შუა ძღვილზე ბურთის მაღლა აგდებით. ბურთის ტარება სწარმოებს ჯოხების (ჭავუნის) საშუალებით. შეტევაზე მყოფი გუნდი ცდილობს ჭავუნის მეშვეობით ბურთის მოწინააღმდეგის ელო გადაკვეთინოს გუნდური ან ინდივიდუალური შეტევით. თამაშის დროს არ შეიძლება ჭავუნის წელზემოთ აწევა, მისი სახიფათოდ ხმარება, თავით სახიფათოდ თამაში, ბურთზე ხელით შეხება, როგორც დაცავაში, ისე თავდასხმაში. გუნდი, რომელიც პირველი დააგრივრებს ქულათა გარკვეულ (წინასწარ დათქმულ) რაოდენობას, მოგებულიც ის არის. თამაში შეიძლება წარიმართოს დროის გარკვეული რეგლამენტის დათქმის შედეგად, ვთქვათ, 5—10 წუთის განმავლობაში, რომელიც გუნდიც მოავროვებს დროის ამ მონაკვეთში ქულათა მეტ რაოდენობას, მოგებულიც ის იქნება.

მოთამაშეების, მსაჯის ან მასწავლებლის მიერ შეიძლება მოლაპარაკება თამაშის წესების გართულებაზე ან გაიოლების შესახებ. მაგალითად, წინასწარი მოლაპარაკების შედეგად შეიძლება თამაშის დროს ბურთზე ფეხით თამაში შეცდომად არ ჩაითვალოს, მაგრამ ბურთის გატანა ელოზე შევხლუდოთ მხოლოდ ჭავუნის დარტყმით. წინააღმდეგ შემთხვევაში შეტევაში მყოფ გუნდს მომ-

კუბანი ქულა არ მიენიჭოს. შეიძლება ყლოს მაგივრად მოვწიქ-
ნოთ პატარა კარები, რომელშიც მოთამაშებდა ბურთი უნდა მოსახუროს ახვედრონ, თამაშის დროს შეიძლება კარებში მექარეც დავაყენოთ და სხვა მრავალი, რომლის ვარიანტების შეჩრევაც მასწავლებლის შემოქმედებითობაზე აიგება.

თამაში ჭავუნი გუნდური ხსიათისაა. ამ თამაშის დროს მოთა-
მაშეებს გამოუმუშავდებათ ისეთი ფსიქო-ფიზიკური და მორა-
ლურ-ნებელობითი თვისებები, როგორიცაა ძალა, სისწრაფე, გამ-
ძლეობა, მოქნილობა, ამტანობა, თვალსაწირის სიღიღე, ნებისყო-
ფა, სწრაფი აზროვნების უნარი და სხვა, ავტოთე ჩამოყალიბ-
დებათ ისეთი უნარ-ჩვევები, რომლებიც დამახასიათებელია პოე-
სტრიქისათვის.

კ ე ც უ ნ ო ბ ა . თ ა მ ა შ შ ი მ ო ნ ა წ ი ლ ე რ ბ ი ს მ ი ღ ე ბ ა შ ე უ ძ ლ ი ა თ , ო რ ი ვ ე ს ქ ე ს ი ს წ ა რ მ ი მ ა დ გ ე ნ ლ ე ბ ს , თ ა მ ა შ ი ს ა თ ვ ი ს ი ნ ე ნ ტ ა რ ა დ შ ე - ი ძ ლ ე ბ ა გ ა მ რ ე ი ყ ე ნ რ ი თ ჭ ა უ ნ ი ს ა თ ვ ი ს გ ა მ ი ზ ნ უ ლ ი ჭ ო ხ ე ბ ი , რ მ ე ლ ი ც ყ ვ ე ლ ა მ ი თ ა მ ა შ შ ი ს უ ნ დ ა ე ჭ ი რ ი ს დ ა ე რ თ ი ჩ ი ღ ბ უ რ ი თ ი ს ბ უ რ თ ი . თ ა მ ა შ შ ი ს დ ა წ ყ ე ბ ა მ დ ე ბ მ ი ღ ე ბ ი გ ა ა ლ ე ბ ე ნ ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი ხ ა ზ ი - დ ა ნ ა რ - ა რ ი მ ე ტ რ ი ს დ ა შ ი რ ე ბ ი თ რ ა მ დ ე ნ ი მ ე ხ ა ზ ი ს , მ ი ღ დ ნ ი ს ა რ ი ვ ე ნ ა ს ე ვ ა რ ზ ე . თ ა მ ა შ შ ი ი წ ყ ე ბ ა დ ც უ ნ დ ე ბ ა დ გ ა ყ მ ფ ი თ . გ ა ყ მ ფ ა შ ე ი ძ ლ ე ბ ა მ ი ხ დ ე ს პ ი რ ე ლ მ ე რ ე რ ზ ე გ ა თ ვ ლ ი თ , ა რ ხ ე ვ ა ნ ი - ა რ ა ღ ა - ნ ი ს წ ე ს ი თ ა ნ ს ხ ვ ა რ მ ე ლ ი მ ე გ უ ნ დ ე ბ ა დ გ ა ყ მ ფ ი ს წ ე ს ი თ . შ ე მ დ ე გ გ უ ნ დ ე ბ ი გ ა წ ე წ რ ი ვ დ ე ბ ი ი ნ წ ი ნ ა მ ა რ დ ა ხ ა ზ უ ლ პ ი რ ე ლ ხ ა ზ ე ბ ზ ე , მ ი ღ დ ნ ი ს ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი ხ ა ზ ი დ ა ნ ა ქ ე თ დ ა ი ქ ე თ . კ ე ნ ტ ი ს ყ უ რ ი ს შ ე მ - დ ე გ ე რ თ - ე რ თ გ უ ნ დ ს მ ი ღ ც ე მ ა ბ უ რ თ ი დ ა თ ა მ ა შ შ ი ს დ ა წ ყ ე ბ ი ს უ ფ - ლ ე ბ ა . დ ა მ წ ყ ე ბ ი გ უ ნ დ ი ბ უ რ თ ს დ ა ღ ე ბ ს ხ ა ზ ე დ ა ჭ ა უ ნ ი ს შ ე მ ი - კ ე რ ი თ მ ი წ ი ნ ა ა ლ მ დ ე გ ე ბ ი ს მ ხ ა რ ე ს გ ა ტ ყ ი რ ც ნ ი ს . მ ი წ ი ნ ა ა ლ მ დ ე გ ე - ე ბ ი ც დ ი ლ ი მ ბ უ რ თ ი ჭ ა უ ნ ი ს ს ა შ უ ა ლ ე ბ ი თ შ ე ა ხ ე რ ო ნ დ ა შ ე ხ - რ ე ბ ი ს ა დ გ ი ლ ი ღ ა ნ ბ უ რ თ ი ი ს ე გ ა ტ ყ ი რ ც ნ ი ს მ ი წ ი ნ ა ა ლ მ დ ე გ ე გ გ უ ნ - დ ი ს ა ქ ე ნ . თ უ ბ უ რ თ მ ა ჭ ა უ ნ ი ს შ ე მ ი კ ე რ ი ს შ ე მ დ ე გ გ ა დ ა კ ე ე თ ა ხ ა ზ ი , რ მ ე ლ ი ს ა ც ა რ ე ბ ი ს ბ უ რ თ ი დ ა გ ა ს , მ ა შ ი ს გ ა მ ა რ ჯ ე ბ უ ლ ი გ უ ნ - დ ი უ კ ა ნ დ ა ი წ ე ს მ ი მ დ ე ვ ნ ი ხ ა ზ ე დ ა ს ა რ ე ბ ლ ი მ ბ უ რ თ ი ს ა ხ ლ ი - დ ა ნ მ ი წ ი კ ე ბ ი ს უ ფ ლ ე ბ ი თ . გ ა მ ა რ ჯ ე ბ უ ლ ი ა ს ე გ უ ნ დ ი , რ მ ე ლ ი ც პ ი რ ე ლ ი ჩ ა ვ ა ბ ლ ლ ი ხ ა ზ ა მ დ ე , მ ე გ უ ნ დ ს , რ მ ე ლ ი ც პ ი რ ე ლ ი ჩ ა ს წ რ ე ბ ს ბ ლ ლ ი ხ ა ზ ა მ დ ე , ე წ ე რ ე ბ ა ე რ თ ი მ ი მ გ ე ბ ი ა ნ ი ქ უ ლ ა . თ ა მ ა შ შ ი ა რ ძ ი ლ ი ს ა ბ ა მ დ ე ბ ი ს წ ი ნ ა მ ა რ დ ა თ ჭ მ უ ლ რ ა მ დ ე ნ ი მ დ ე .

თამაში კუსონობა გუნდოური ხასიათისაა. გუნდში თამაში შეუძლია გამოსავა.

ლია მოთამაშეთა იმ რაოდენობას, რამდენი მოთამაშეც დაიტევთ
თავისუფლად ხაზე. თამაში შეიძლება გამოვიყენოთ რამდენიმარტინ
მე ბურთი.

თამაში მოთამაშებს გამოუმუშავებს ისეთ ფსიქო-ფიზიურ
ჩვევებს, როგორიცაა ძალა, სისწრაფე, გამძლეობა, სიმარჯვე, კო-
ლექტივიზმის გრძნობა, ნებისყოფა და სხვა. აგრეთვე პოკეისტები-
სათვის დამახსიათებელ ჩვევებს.

ბ ი ნ ა-ბ ი ლ ა თამაშის პირობითი სახელია. იგი მიღებულია-
სამი ქართული ხალხური თამაშის ბინაბურთის, ცეცხლაბილას და-
ჭურუაბილას შერწყმის საფუძველზე. მის შინაარსში ფართოდაა მო-
ცემული თანამედროვე სპორტული თამაშის, ბესბოლის ელემენ-
ტები.

თამაში მანქანილეობის მიღება შეუძლიათ როგორც ქალთა,
ისე ვაჟთა სქესის წარმომადგენლებს. გუნდის მონაწილეთა რაოდე-
ნობა განისაზღვრება დარბაზის პირობების მიხედვით. თამაშისათ-
ვის საჭიროა ერთი ჩიგბურთის ბურთი, ორი ხის ფარი, რომლის
სიმაღლეა 30, ხოლო სიგანე 40 სანტიმეტრი. ამ ფარს „ბინა“
უწოდებენ, საჭიროა ავრეთვე ხის ჯოხი, რომელიც ნიჩბისებური-
მოყვანილობისაა, იგი სიგრძით 80—100 სმ-ის ტოლი შეიძლება
იყოს, მისი ნიჩბისებური ბოლოს სიგანე 8—10 სანტიმეტრი, ხოლო
პირის სისქე 2—3 სანტიმეტრი შეიძლება იყოს.

თამაშის დაწყებამდე მოედანზე გავავლოთ ცარცით შუა ხაზი.
მოთამაშეები იყოფიან ორი თანასწორი რაოდენობის გუნდებად. გა-
ყოფა შეიძლება მოხდეს პირველ-მეორეზე, არჩევანი-არადანის ან
გუნდებად გაყოფის სხვა რომელიმე წესის მიხედვით. კენჭისყრის
შედეგად გუნდს, რომელსაც კენჭი შეხვდება, აწოდებს ბურთის,
მოწოდებელი მოთამაშე მოწოდების დროს დგას ბინასთან. ბინები-
წინასწარ დათქმული მანძილითაა დაშორებული შუა ხაზიდან. იგი
ცდილობს ბურთზე ნიჩბის მორტყმის საშუალებით ბურთი გააკი-
ლოს თავის ნახევარს და ჩავდოს მოწინააღმდეგეთა ნახევარზე.
მოწინააღმდეგები ცდილობენ ბურთი დაიჭირონ ცალი (მარჯვე-
ნა ან მარცხენა) ხელით.

თუ ბურთი მოწოდების შემდეგ დამცველმა გუნდის მოთამაშე-
ებმა ვერ დაიჭირეს, მაშინ თავდამსხმელებს ჩაეწერებათ ერთი.
მომგებიანი ქულა და ბურთის მოწოდებას განაგრძობს თავდამსხ-
მელი გუნდის სხვა მოთამაშე. დამცველი გუნდის მიერ ბურთის.

ზაჰერის შემთხვევაში, რომელიმე მოთამაშე წინასწარ დათქმული, აღგილიდან ბურთს ესვრის ბინას, ხოლო თავდამსხმელი გუნდის ის მოთამაშე, რომელიც ოწოდებდა ბურთს, ცდილობს ბურთი მოიგრიოს ჭოხის საშუალებით ისე, რომ ბურთი ბინას არ მოხვდეს (ბურთი ბინას უნდა მოხვდეს პირდაპირ, ყოველგვარი გაგორებისა და იატეკიდან ასხლეტის გარეშე). თუ ბურთი მოხვდა ბინას, მაშინ თავდამსხმელები კარგავენ ბურთის მიწოდების უფლებას, ხოლო თუ ბურთი მოიგრიოს ჭოხის საშუალებით, მაშინ მათ მომგებიანი ქულა ჩაწერებათ. თამაში მიმდინარეობს ქულათა წინასწარ დათქმულ რაოდენობამდე. თამაშის დამთავრების შემჯერება, წაგებულმა გუნდმა, მოგებული გუნდი ზურგშე შემჯდარი უნდა შემოატაროს წრეშე, (ერთი ან რამდენიმე წრე, როგორც წინასწარ დათქმებენ) დარბაზის ირგვლივ.

ბურთი მიწოდების დროს არ უნდა შეეხოს კაზლებს, კერს, ივი პირდაპირ უნდა დაუკუს მოწინააღმდეგის ნახევარზე. ბურთმა მიწოდებისას უნდა გადაკვეთოს შეა ხაზი, წინააღმდეგ შემთხვევაში, თავდამსხმელები კარგავენ ბურთის მოწოდების უფლებას. ყოველი მომგებიანი ქულის ჩაწერის შემდეგ იცვლება ბურთის მოწოდებელი, რათა ბურთი გუნდის ყველა წევრმა მოწოდოს და მოიგრიოს.

თამაში ბინა-ბილა გუნდური ხსიათისაა. იგი მოთამაშებს გამოუშავებს ისეთ ფსიქო-ფიზიურ ჩვევებს, როგორიცაა ძალა, სისწრაფე, გამძლეობა, სიმარჯვე, სიზუსტის გრძნობა, მეგობრობა და სხვ. აგრეთვე გამოუშავებს ბეისბოლელებისათვის დამახა-სიათებელ უნარ-ჩვევებს.

კოშლაობა. თამაშში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც ვაჟთა, ისე ქალთა სქესის წარმომადგენლებს. თამაში გუნდური ხსიათისაა. დარბაზში თამაშში მონაწილეობა შეუძლია 2 ან 4 გუნდს, რაც დარბაზის სიგრძეზეა დამოკიდებული, ხოლო მოთამაშეთა რაოდენობას განსაზღვრავს დარბაზის სივანე, რაც უფრო განიერია დარბაზი, მით უფრო მეტი რაოდენობის მოთამაშებით დაკომპლექტდება გუნდები.

თამაშისათვის საჭიროა ხის ჭოხები (სასურველია სეთი, რომ იატეკშე ნაკლებად გორავდნენ. მაგ. ოთხეუთხედი, ნახევრადმრგვალი, თავბრტყელი და ა.შ.), რომელიც 80 სმ. მეტრის ტოლია სიგრძით. მათ ჭოხებს „კოშალს“ უწოდებენ. გარდა ამისა, საჭიროა

„რიც“. რიც 10—15 სმ-ის ტოლი ტოლგვერდა მართვულების, რომლის გვერდების სიმაღლე შესაბამისად 5—5 სმ-ს უდრის. კოშკის ლეგი ყველა მოთამაშეს უნდა ეჭიროს ხელში, ხოლო რიცი ყოველ ორ მოთამაშეზე ერთი ცალი უნდა მოდიოდეს.

თუ დარბაზი გრძელია, ერთჯროულად ოთხ გუნდს შეუძლია მონაწილეობის მიღება. თამაშის დაწყების წინ დარბაზის ცენტრში ცარცით გავავლებთ შუა ხაზს, ამ ხაზის გადაკვეთის უფლება კოშალს „გადასვლის“ — გადაგდების შემდეგ არა აქვს. ხაზის გადაკვეთა კოშლის მიერ შეცდომაში ითვლება, ხოლო გადასვლა მოთამაშეს ცდაში ეთვლება. რიცები უნდა განვალაგოთ შუა ხაზიდან 1—1,5 მეტრის მოშორებით. რიცები სიგანეში უნდა დაეწყოს თანაბარი მანძილის დაცვით, სასურველია 50 სმ-ის ან 1 მეტრის დაშორებით ისე, რომ გუნდებისაგან ნასროლი კოშლები ერთმანეთს არ მოხვდნენ და ამან მანძილის გაზომვაში არ გამოიწვიოს გაუგებრობა.

თამაში იწყება გუნდებად დაყოფით. სასურველია გუნდებში მოთამაშეები შეიჩრჩეს წონის, ზომის და ფიზიკური მომზადებულობის მაჩვენებლების მიხედვით ისე. რომ თითო გუნდში შესაბამისად თავისი სადარი მოთამაშე თამაშობდეს. გუნდებად დაყოფის შემდეგ მონიშნუვენ ადგილს, საიდანაც კოშლებით უნდა გადავიდნენ. ყოველი მოთამაშე ცდილობს, რომ მასი კოშალი რაც შეიძლება ახლოს დავარდეს რიცებთან. კოშლის რიცებშე შეხებაც იძლება ახლოს დავარდეს რიცებთან. კოშლის საიდანაც უნდა მოანაცვლოს თავისი ადგილიდან, იგი მხოლოდ უნდა შეეხოს რიცს. თუ ნასროლმა კოშალმა რიცს აღვილი მოუნაცვლა, მაშინ მოთამაშეს გადასელა შეცდომაში ჩაეთვლება.

თითოეულ რიცს, თავის კოშალს საწინააღმდეგო გუნდებიდან თითო-თითო მოთამაშე ესვრის (გადავა). როცა კოშლებს სუჟეკტი გადავა, იწყება შემოწმება, გაზომვა, გამარჯვებულია ის გუნდი, რომლის გადაგდებული კოშლების საერთო რაოდენობაც ახლოს იძყოფება რიცებთან, როცა გამოირკვევა გამარჯვებული გუნდი, ისრინ დამარცხებულებს შეასხდებიან ზურგზე, რიცებს დაუდებენ დამარცხებულებს 1,5-2 მეტრის მანძილზე (ან ამ მანძილზე წინასწარ მოილაპარაკებენ) წინ და ამ მდგომარეობაში ესვრიან კოშალს რიცს. თუ მოთამაშემ კოშალი რიცს მოახვედრა, მაშინ დამარცხებულმა უნდა შემოატაროს (ან შემოარბენინოს) მოგებული მოთაზულმა უნდა შემოატაროს



მაშე ზურგზე აყვანილი დარბაზის ირგვლივ, ხოლო თუ კოშკის რიცს არ მოხვდა, მაშინ საჯარიმო შემოვლა არ შედგება. ვუნდა რამდენჯერაც წავა საჯარიმო შემოვლაზე, მოგებულ გუნდს იმდენი ქულა ჩაეწერება, თამაში დათქმულ ქულათა რაოდენობამდე წარმოებს.

მოთამაშეთა დატვირთვის ინტენსივობის გაზრდის მიზნით, შეიძლება გამარჯვებული გუნდის მოთამაშემ კოშლის რიცზე პირველ აცდენამდე განავრინოს სროლა. მოგებული მოთამაშემ ამდენჯერაც მოარტყას კოშალს რიცს, წაგებულმა მოთამაშემ იმდენჯერ უნდა შემოატაროს საჯარიმო წრეზე გამარჯვებული. შეიძლება აგრეთვე, კოშლის უცდენლად სროლა შეიზღუდოს 3, 4, 5-მდე და ა. შ. იმის მიხედვით, თუ რა მიზნებსა და ამოცანას ისახავს თამაში.

კოშლაობის თამაშის შედეგად, მოთამაშეებს გამოუმუშავდებათ ისეთი ფსიქოფიზიკური თეისებები, როგორიცაა ძალა, სისწრაფე, გამძლეობა, მოქნილობა, თვალის სიზუსტე, ძალის განაწილება მანძილის მიხედვით, ამტანობა, მეგობრობა, კოლექტივიზმის გრძნობა, ნებისყოფა და სხვ.

ფარიკაობა. თამაშში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც ვაჟთა, ისე ქალთა სქესის წარმომადგენლებს, თამაშისათვის საჭიროა თითო მეტრის სიგრძის ჭოხები, შეიძლება გამოყენებულ იქნენ ტანკარჯიშული ჭოხებიც. რომლებიც თითოეულ მოთამაშეს თამაშის დროს ხელში უნდა უჭიროს.

თამაშის დაწყების წინ მოვდანზე უნდა დაეხაზოთ ტოლგვერდა სამყუთხედი, რომელთა გვერდები შესაბამისად 1,5—2 მეტრის ტოლი შეიძლება იყოს. სამყუთხედის წვეროებიდან 30—40 სმ-ის რაოდიუსით შემოვხაზოთ წრეები. თამაში იწყება მოთამაშეების (მოფარიყავეების) წრეებში ჩაღომით. მსაჭის ნიშანზე, მოთამაშეები ცდილობენ თავიანთი ჭოხის წვერით შეეხონ მოწინააღმდევეთა წრის შიგნით მყოფ იატაკს და ამასთანავე თავიანთი წრეც დაიცვან მეტოქეთა თავდასხმისაგან. გამარჯვებულად ჩაითვლება ის მოთამაშე, რომელიც უფრო სწრაფად შეეხება ჭოხით მეტოქის იატაკს.

თითოეულ მოთამაშეს უფლება აქვს იერიში მიიტანოს მეტოქის წრეზე მხოლოდ ერთხელ, მსაჭის ნიშნის მიცემის შემდეგ. ჭოხის მუხლზემოთ აწევა შეცდომად ითვლება და შეტევის დროს მიღებული ქულა მას არ ჩაეთვლება მოგებად. მოთამაშეებს არ შე-

უძლიათ ჯოხებით ერთმანეთზე შეხება, რომელიც შეიძლება ტრავ-
შის გამომწვევ მისეზად მოგვევლითოს. თამაში ინდივიდუალური
ხასიათისაა. იგი მიმდინარეობს ქულათა წინასწარ დათქმულ რაო-
დენობამდე. ის მოთამაშე, რომელიც თამაშის დროს დააგროვებს
ქულათა მინიმალურ რაოდენობას, დატოვებს წრეს და მის მაგივ-
რად ადგილს მსაჭი დაკავებს, ხოლო წაგებული იწყებს მსაჭის
ფუნქციების შესრულებას.

თამაშში მონაწილეთა რაოდენობის მასობრიობის გაზრდის მიზ-
ნით, შეიძლება მოცემულ ფართზე დაიხაზოს სამკუთხედთა ის რა-
ოდენობა, რის შესაძლებლობასაც მოგვცემს მოცემული ფართი.
თამაშის სიმძაფრის და ემოციური მხარის ამაღლების მიზნით, შე-
იძლება თამაშს მიუკეთ შეჯიბრების ხსნით. ამისათვის თითოე-
ული სამკუთხედიდან გამარჯვებული მოთამაშენი უნდა მოვათავ-
სოთ ერთი სამკუთხედის წრეებში და სეთი წესით შეიძლება გა-
მოვალინოთ საუკეთესო მოფარისავე. მოთამაშეთა ფიზიკური
მომზადებულობის მაჩვენებლების მიხედვით, შეიძლება გაზარდოთ
ან შევამციროთ ტოლგვერდა სამკუთხედის გვერდის სიდიდე, რო-
მელიც შესაბამისად გაზრდის ან შეამცირებს მოთამაშეთა ფიზი-
კურ დატეირთვას.

ფარიკონის თამაშის ჩატარება მოთამაშეებში ხელს შეუწყობს
ძალის, სისწრაფის, მოქნილობის, დამკაირუებლობის, თვალის ზო-
მის, პერიფერიული მხედველობისა და სხვა ფსიქო-ფიზიკურ თვი-
სებათა ჩამოყალიბებას, აგრეთვე იმ ჩვევისა და უნარის გამომუ-
შვებას, რომელიც საჭიროა მოფარისავებისათვის.

ბურთი კალათ შ. ი. თამაშში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ორივე სქესის წარმომადგენლებს. თამაშისათვის საჭიროა
კალათბურთის ბურთები და ფარები.

მოთამაშენი განაწილდებიან ფარებზე თანაბარი რაოდენობით.
თამაშისათვის უფრო ხელსაყრელია დარბაზში იყოს ფარების მეტი
რაოდენობა, რომელიც ხელს შეუწყობს თამაშის უფრო მასობრი-
ვად ჩატარებას. ფარიდან გადაეზომავთ მანძილს 2—3—4 და ა. შ.
მეტრის სიშორით, რომელიც განისაზღვრება მოთამაშეთა ფიზი-
კურ და ტექნიკურ შესაძლებლობათა გათვალისწინებით და გაივ-
ლება ხაზი. მოთამაშენი დაწესებული რიგის მიხედვით მოეწყობიან
ტყორუნის ხაზე და აქედან სათითაოდ ტყორუნიან ბურთს, რო-
მელიც უნდა ჩავდონ კალათში. თითოეულ მოთამაშეს ეძლევა 5

ტყორცნის უფლება. გამარჯვებულია მოთამაშე, რომელიც ყველა
ბურთს მოთავსებს კალათში.

ეს თამაშობა შეიძლება ჩატარდეს გუნდური სახითაც. ამ შემთხვევაში ორ ან რამდენიმე გუნდად გაყოფილი მოთამაშენი (რის შესაძლებლობასაც გვაძლევს მოცემული ფართი) ეჭიბრებიან ერთ-მანეთს ბურთის ტყორცნაში. თათოვეული მოთამაშის მიერ ტყორცნის რაოდენობა აღრევე წესდება. გამარჯვებულია ის გუნდი, რომელიც დააგროვებს ქულათა მეტ რაოდენობას.

კალათში ჩაგდებული თითო ბურთი ანიჭებს გუნდს 1 ქულს. ბურთის ტყორცნის დროს მოთამაშეები არ უნდა გადასცილდნენ ტყორცნის ხაზს.

თამაშის დროს მოთამაშეებს გამოუმუშავდებათ ნებისყოფა, თვალის სიზუსტე, ბურთის ტყორცნის ჩვევები, სიმარჯვე და ბევრი სხვა საჭირო თვისებები და ჩვევები, რომელიც დამახასიათებელია კალათბურთელებისათვის.

მინი ლელო (ლელო ბურთი). ლელოს თამაშის ჩასატარებლად, მოცემული მოედნის ან დარჩაზის ბოლოებიდან 1—1,5 მეტრის დაშორებით გავავლოთ ცარცით ხაზები მოედნის ან დარჩაზის მთელ სიგანეზე, რომლის გადაკეთაც ლელოს გატანის აღმნიშვნელად ჩაითვლება. დარბაზის კედლებზე გავლებულ ხაზებს უკან სასურველია აეკრას რბილი ლეიბები, რომლებიც გამორიცხავენ და მინიმუმამდე შეამცირებენ ტრავმის მიღების შესაძლებლობას. თამაშის დაწყების წინ მოწინააღმდეგენი იყოფან ირ გუნდად შეაზე იმ რაოდენობის მიხედვით, რის შესაძლებლობასაც იძლევა მოცემული ფართი. თამაში იწყება მოედნის ცენტრში ბურთის მაღლა შევდებით. ბურთის დაუფლების შემდეგ, მოთამაშე იწყებს მოძრაობას ლელოს გადასაკვეთ ხაზამდე. ბურთიანი მოთამაშის მიერ ხაზის გადაკვეთა გუნდს გამარჯვებად ან ერთ ქულად ეთვლება.

ბურთიან მოთამაშეზე არ შეიძლება ხელის კვრა, ფეხის დადება, თავით სახიფათოდ თამაში, ფეხებში ხელის წავლება, რომელიმე დარბაზის პირობებში შეიძლება ტრავმის გამომწევევ მიზეზად მოგვევლინოს.

ბურთის წარმეფვა უშუალოდ უნდა მოხდეს ბურთის ხელიდან გამოგლეჭით, გაგდებინებით ან ბურთის გადაცემის დროს ბურთის ჩაჭრით.

შეიძლება მოწინააღმდეგე მოთამაშის გაჩერება ტანის ჩადგენის მით, ან ხელვბით მასზე ჩახვევით. ასეთივე წესით შეიძლება პურის თან მოთამაშეზე თამაში.

ბურთიან მოთამაშეს შეიძლება დაეხმაროს თანაგუნდელი ლელოს გატანაში მოძრავი ბლოკის დაყენებით, პასის გადაცემით და ა. შ.

ბლოკირების დროს არ შეიძლება მოწინააღმდეგის ხელის კვრა, მოძრავი ბლოკი უნდა გავეთდეს მხოლოდ ტანით.

ბურთიან მოთამაშეს მოძრაობის დროს აქვთ უფლება მოიცილოს მოწინააღმდეგი გვერდზე, მარჯვენა ან მარცხენა ხელით.

ბურთის გადაცემები შეიძლება ნებისმიერი მიმართულებით.

თამაში შეიძლება ჩატარდეს წინასწარ დათქმული ანგარიშის ან დროის გათვალისწინების მიხედვით.

ლელობურთის თამაშის ჩატარება შეიძლება ორივე სქესის მოთამაშეთა შორის. ლელობურთის თამაშის დროს, დატვირთვის ინტენსივობის გაზრდის მიზნით, შეიძლება გაიყოს გუნდები არათანაბარი მოთამაშეების რაოდენობით. გავეთილის ამოცანის გადაჭრის მიზნით კი შეიძლება თამაშში ჩავუზთოთ ხელბურთის, რეგბის, კალათბურთის და სხვა მოძრავი ან სპორტული თამაშის ელემენტები.

მაგალითად, გუნდი თავის ან მოწინააღმდეგის ნახევარზე უნდა თამაშობდეს კალათბურთის, ხელბურთის, რეგბის და ა. შ. თამაშების წესების დაცვით.

ლელობურთის ჩატარების დროს უნდა გავითვალისწინოთ მონაწილეთა ასაკობრივი და ფიზიკური მომზადებულობის მაჩვენებლები. თუ მოთამაშენი სუსტი ფიზიკური განვითარების არიან, მაშინ მათ თამაშის დროს უნდა მოვცეთ მსუბუქი და შედარებით პატარი მოცულობის ბურთები, როგორიცაა ფერწმურთის, ხელბურთის ან სხვა რომელიმე რეზინის ბურთი. ეს მოთამაშეებს გაუადვილებს თამაშს, თუ გუნდები შედარებით კარგად არიან ფიზიკურად განვითარებულნი, მაშინ მათვეს საჭიროა შედარებით უფრო მძიმე ბურთების მიცემა როგორიცაა კალათბურთის, რეგბის ან ტენისის ბურთები.

ლელოს თამაშის ჩატარება ხელს შეუწყობს მოთამაშეებში ძალის, სისწრაფის, გამძლეობის, სიმარჯვის, კოლექტიურობის, ურ-

თიერთდახმარების გრძნობის, ამტანობის, მოსახლებულობის სხვა ფსიქო-ფიზიკური თვისებების ჩამოყალიბებას.

ს ა ყ ე ბ უ რ თ ი. საყემურთის თამაშში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ორივე სქესის წარმომადგენლებს. თამაშისათვის საჭიროა ბურთი. იმის გამო, რომ თამაშში გამოყენებულია ფრენ-ბურთის თამაშის ელემენტები, საშუალებია გამოიყენოთ ფრენ-ბურთის ბურთი. მოთამაშები მოედნის თავსა და ბოლოში დგმენ ხის ან ფანჯრის ფარს, რომლის სიმაღლე 30 სმ-ის, ხოლო სიგანე 40 სმ-ის ტოლია. მმ ფარებს „საყებებს“ უწოდებენ. თამაშის დაწყების წინ მონაწილეები იყოფიან მოთამაშეთა თანაბარი რაოდენობის გუნდებად, იმისდა მიხედვით, რის საშუალებასაც იძლევა დარბაზის პირობები. გაყოფა შეიძლება მოხდეს პირველ-მეორეზე არჩევანი-არადანის ან გუნდებად გაყოფის რომელიმე წესის მიხედვით. თამაშს იწყებს ის გუნდი, რომელსაც კენჭისყრის შედევრად შეცვდება კენჭი. მმ გუნდის ერთ-ერთი მოთამაშე დადგება საყესთან ბურთით, მოწინააღმდევე გუნდი კი სურვილისამებრ ცენტრალური ხაზის უკან განლაგდება. თამაშის დამწყები ე. ი. თავდამსმელი გუნდის რომელიმე მოთამაშე ბურთს აისერის მაღლა და იმავე ან მეორე ხელის გაკვრით ცდილობს ბურთი მოედნის ცენტრალურ ხაზს გადააცილოს. ბურთის გაკვრა შეიძლება ფრენ-ბურთში ბურთის მიწოდების ნებისმიერი ხერხის გამოყენებით (ბურთის მოწოდება ქვემოდან, გვერდიდან, ზემოდან ცალი ხელით). მოწინააღმდევე გუნდი, დამცელები ცდილობენ, რომ ბურთის მოწოდების შემდეგ, ბურთი თავის მოედნის ნახევარზე არ დააგდონ. ისინი ხელის, თავის ან ტანის საშუალებით (ფეხის გარდა) ცდილობენ ბურთი მეტოქის ნახევარზე გადაიტანონ. თუ ბურთი დაეარდა რომელიმე გუნდის ნახევარზე, მაშინ წინასწარ დათქმული ადგილიდან, რომელიმე მოთამაშე ბურთს ესერის საყეს. იმ შემთხვევაში, თუ ბურთი დაეარდება თავდამსმელი გუნდის ნახევარზე, მაშინ რომელიმე თავდამსმელი გუნდის მოთამაშე ცდილობს ბურთი მიატყოს საყეს. ბურთის საყეზე მოხვედრისას მათ მომცებიანი ქულა ჩაეწერებათ, ხოლო ბურთის საყეზე „ცდენის შემთხვევაში კი თავდამსმელები კარგავენ ბურთის მოწოდების უფლებას. იმ შემთხვევაში, თუ ბურთი დაეარდა დამცელელი გუნდის მოედანზე, მაშინ დამცელი გუნდის რომელიმე მოთამაშე, ბურთის დაეარდნის ადგილიდან, ცდილობს საყეზე ბურთის მორტყმას. თუ

დამცველი გუნდის მოთამაშებ ბურთი საყეს მოარტყა, მაშინ დამცველი გუნდი მოიპოვებს ბურთის მოწოდების უფლებას, ხოლო თუ ბურთი საყეს ააცდინეს, მაშინ თავდამსხმელები ჩაიწერები მოგებიან ქულას და ბურთის მოწოდებას განაგრძობს თავდამსხმელი გუნდის იგივე მოთამაშე.

ბურთის ხელახალი მიწოდების უფლების მოპოვების შემდეგ, თავდამსხმელი გუნდის იმ მოთამაშეს, რომელიც ბურთს აწვდიდა, ბურთის მიწოდების უფლება არა აქვს. მათვის შეიძლება დაწესდეს გუნდების კაპიტნების ან მსაჯის მიერ გარევეული შეზღუდვა, მაგალითად, მიაწოდოს ბურთი 3, 4, 5 და ა. შ. მოთამაშის მოწოდების შემდეგ. ეს გამოიწვევს შეძლებისდაგვარად ყველა მოთამაშის მიერ ბურთის მოწოდების შესაძლებლობის გაზრდას.

თამაში მიმღინარეობს წინასწარ დათქმული დროის ან ანგარიშის მიხედვით. ის გუნდი, რომელიც პირველი დააგროვებს ქულათა მეტ რაოდენობას, მოვებულიც ის არის.

საყებუროის თამაში გუნდური ხსიათისაა. მისი ჩატარება ხელს შეუწყობს მოთამაშეებში ძალის, სისწრაფის, გამძლეობის, მოქნილობის, სიმარჯვის, მეცნობრობის და სხვა ფსიქო-ფიზიკური თვისებების განვითარებას, ასევე იმ ფიზიკური ჩვევების განვითარებას, რაც საჭიროა ფრენბურთელებისათვის.

ჭორ ქულაობა — თამაშში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ორივე სქესის წარმომადგენლებს. თამაში იწყება გუნდებად გაყოფით. გაყოფა შეიძლება მოხდეს პირველ მეორეზე, კენტის ყრის, არჩევანი-არაღანის და სხვა ნებისმიერი გათვლის საშუ-

ალებით. გუნდებად გაყოფის დროს უნდა გვითვალისწინოთ მო-
თამაშეთა წონა, სიმაღლე, ფიზიკური მომზადებულობა და სხვა
მაჩვენებელები ისე, რომ მოხდეს თანაბარი ძალის გუნდებად გაყო-
ფა. თამაშისათვის საჭიროა ერთი ან იმდენი ბურთი, რამდენი გუნ-
დიც თამაშობს მოედანს, კენჭისყრით ერთი გუნდი მეორეს ზურ-
გზე შეაგდება. — „ჯორები“ ვიზედაც სხედან, წრეს გაკეთებენ ისე, რომ ერთმანეთს 4—4 ნაბიჯით იყვნენ დაშორებული. პირისახე
„ჯორებს“ და „მხედრებს“ წრის შუაგულისაკენ აქვთ მაქაცია. ბურთი ეძლევა ერთ-ერთ მხედარს. მოთამაშეთაგან 20 ნაბიჯის ან
პირითი კედლიდან 1—1,5 მეტრის მოშორებით გავლებულია სწო-
რი ხაზი. რომელსაც „წინ-წყარო“ (ხოგან „ბინა“) ჰქვია. ბურთის
შენონე შედარი ფრთხილად უგდებს თავის მხანაგს „მხედარს“
ხელმარჯვნივ, ხელმარცხნივ ან პირდაპირ ბურთს. „ჯორზე“ მჯდა-
რი „მხედარი“ ცდილობს ბურთი დაიჭიროს ისე, რომ „ჯორიდან“
არ ჩამოვარდეს. „ჯორები“ კი, თავის მხრივ, პკეთრი მოძრაობით
მარჯვნივ, მარცხნივ, წინ ან უკან თითო ნაბიჯის გადადგმით, ცდი-
ლობენ მხედრებს ბურთი არ მიალებინონ, „ჯორებს“ ხელებით უკა-
ვიათ „მხედრებს“ ფეხები, რაც „მხედრებს“ საშუალებას აძლევს
ორივე ხელით იბრძოლონ ბურთის მიღების დროს. თუ „მხედარი“
ჩამოვარდა „ჯორიდან“, მაშინ მოთამაშენი იცვლებიან როლებით,
ხოლო ქულა ოც ერთ გუნდს არ ეწერება. თუ „მხედარს“ ბურთი
დაუყარდა, მაშინ „მხედრები“ ჩამოქვეითდებან და ბინისაკენ მო-
კურცხლავენ. „ჯორები“ კი ბურთს მივარდებიან და სროლით ცდი-
ლობენ ჩაჭრან რომელიმე „მხედართაგანი“, სანამ ისინი ბინაზე
შეასწრებენ. თუ „ჯორები“ მხედრებს ჩაჭრიან, მაშინ „ჯორები“
მომგებიან ქულას ჩაიწერენ და „ჯორები“ და „მხედრები“ როლებს
შეცვლიან, ხოლო თუ „მხედრებმა“ ბინაზე შეასწრეს, მაშინ „მხედ-
რები“ დაწინაურდებიან მომგებიანი ქულით და კვლავ შეაგდებიან
„ჯორებს“ ზურგზე. ის გუნდი, რომელიც მომგებიან ქულას დაკარ-
გავს, გარიმდება და ვალდებულია წრიდან ბინამდის ზურგზე შემ-
ჯდარი მიიყვანოს თავისი „მხედარი“ ან მომავალში „მხედარი“.
თამაშის მონაწილეთა მასობრივად ჩართვის მიზნით, შეიძლება
„ჯორებით“ წრეების გაკეთება მოედნის ორივე ნახევარზე ისე,
რომ წრეები დარბაზის დიაგონალს ბოლოებში იყვნენ განლაგე-
ბულნი, რათა „მხედრების“ ბინებში შესწრების მომენტში არ მოხ-
დეს „მხედრების“ ერთმანეთზე დაჭახება. თამაშის დატვირთვის და

• ინტერესივობის გატარების მიზნით, შეიძლება საჯარიშო გატარების სიცირე გაიზარდოს, ან საჯარიშო გატარება შესრულდეს სირჩევა ლით.

თამაში მომდინარეობს ქულათა წინასწარ დატვეულ რაოდენობიდან. ის გუნდი, რომელიც პირველად შეისრულებს ქულათა დატვეულ რაოდენობას, გამარჯვებულად ჩაითვლება. „მხედრების“ ბურთის დაკარგვის მომენტში „ჯორებს“ არა აქვთ უფლება „მხედრები“ ფეხებით დაიკირონ. თუ ბურთის დავარინის მომენტში „ჯორები“ იმწამსვე ხელს არ ვაუშვებენ „მხედრებს“ ფეხებზე, მაშინ „ჯორებს“ ეძლევათ ერთი გაფრთხილება, ორი გაფრთხილების შემთხვევაში „ჯორებს“ საგარიბო ქულა დაუწირებათ.

დღელამობანს. თამაშში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც ვაკებს, ასე ვოვონებს. თამაშისათვის საჭიროა პატია ბრტყელი ქვი ან ხურდა ფული.

Յանձնիութեն Թուղթնու Շայանց ցաւզեցեց Տէ՛րոհ եան, ամ եանու որոցց Յետարչից ռը-ռու նածոցն ճամորհեցու (ան Ըսկածո հա Յուրածեցնաց օժլոցա, Մյուծլոցա մըւրո ան նաշլոցի), ցաւզեցեց կուլց տառա եան. Սյանմայնելու եանցեց ։ Ենցեցա. Մյուծլոց ծրարուց լո յշու յշու թեահրէս ճասաւելուցեց ան ցաւացեցեն նաեւուու, յշու ամ Յետարչիս ցիրուցա ։ Համեց, մըւրուց կը ։ Առա.

თამაში იწყება გუნდებად გაყოფათ. გუნდებად გაყოფა ხდება გაყოფის ნებისმიერი წესით, როგორც თვით მოთამაშეები ან მას-წალევებელი გადაწყვეტს. შემდგომ თითოეული გუნდიდან ირჩევენ გუნდის კაპიტანს, რომლის ვალიც არის ქვის ან ფულის აგდება და ზისი დავარინის შემდეგ შესაბამისი ძახილის წამოძახება. თუ „ქვა“ კაშავებული მხარით დაეცემა, მაშინ ქვის ამგდები იძახის „დღეს“, თუ პირიქით — „ღმეს“. (ფულის აგდების დროს შესაბამისად გუნდის კაპიტანები ყვირიან არიოლს ან რეშეს). გუნდები წინასწარ შეთანასმდებიან და ერთი გუნდი დაარქმევს „დღეს“, მეორე კი „ღმეს“. (ან არიოლს და რეშეს). შემდევ გუნდები დადგებიან ცენტრალური ხაზის აქტ-იქით ერთმანეთის პირისპირ; გუნდის კაპიტანი ასევრის ქვას და თუ „დღე“ დადგა, დღეები გარჩიან ბინე-



ბისაკენ, ხოლო „დამეები“ გამოუღებიან დასაქერად. ვისაც-შელები, დაპრავენ დაჭერილები არიან. დაჭერა შეიძლება, ვაღრე გაქცეულები თავიანთ ბინას მიაღწევენ. გუნდს მომგებიან ქულად ჩაეწერება იმდენი, რამდენ მოთამაშესაც დაიჭერენ. შემდეგ ქვის ავდება ხდება მეორე გუნდის კაპიტნის მიერ. თამაში მიმღინარეობს წინასწარ დათქმულ ქულათა რაოდენობაზე.

თამაშის მსელელობის დროს შეიძლება გამოიყოს ერთი მსახი, რომელიც თავისი შეხედულებისამებრ დაიძახებს „დლეს“ ან „დამეს“.

თამაშის ინტენსივობის გაზრდის მიზნით, შეიძლება მოთამაშენი დავაკუნოთ ერთმანეთისაკენ ზურგით, ნახევრად ბუქნში, წოლელა მდგომარეობაში და ა. შ. ნიშნის მიღების შემდეგ მოთამაშეებმა ირბინონ ზურგით წინ, ნახევრად ბუქნში და ა. შ. გამომდინარე გაკვეთილის ამოცანიდან.

თამაში გუნდური ხასიათისაა, იგი მოთამაშეებს გამოუმუშავებს ისეთ თვისებებს, როგორიცაა ძალა, სისწრაფე, გამძლეობა, სიმარჯვე, ამტანობა, კოლექტივიზმის გრძნობა და ა. შ.

ასკინკილა. ასკინჯილას თამაშში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ორივე სქესის წარმომაღენლებს, თამაშის ჩატარება გაკვეთილზე შეიძლება მასობრივი ფორმით, რის შესაძლებლობასაც მოგვცემს მოცულელ დარბაზშის ფართის პირობები. თამაშის მასობრივად ჩატარება ხელს შეუწყობს ყველა მონაწილის მაქსიმალურად ფიზიკურ დატვირთვას და გამოიწვევს გაკვეთილის სიმკერივის გაზრდას, რაც უფრო მეტნი იქნებიან მოთამაშე. წყვილები დარბაზში, მით უფრო გართულდება თამაშის პირობები. გართულდება მეწყვილე მოწინააღმდეგის დაჭერა სხვა მოთამაშეთა რაოდენობის გაზრდის გამო, რომლებიც ასევე ჩატარები იქნებიან თამაში. ეს პირობები კი თითოეულ მოთამაშეს მისცემს საშუალებას, განავითაროს კოორდინაცია და თვალსაწირის სიღილე. თამაშის ამნაირი პირობები ხელს შეუწყობს აგრეთვე, მოთამაშეებს განუვითაროს როგორც მუცლის პრესის კუნთები, ისე ქვედა კიდურები. თამაში „ასკინკილა“ მოთამაშეებს გამოუმუშავებს ისეთ ფსიქო-ფიზიკურ ჩვევებს, როგორიცაა ძალა, გამძლეობა, ნებისყოფა, ამტანობა, გარკვეულ სიტუაციაში სწრაფად აზროვნება და სხვ.

თამაში იწყება წყვილების შეჩრევით. წყვილები შეიძლება შე-

ირჩეს როგორც წონის, სამაღლის, ფიზიკური განვითარების-შემთხვევაში გენებლებით, ისე პედაგოგის შეხედულების მხრივაც.

წყვილების შეჩრევის შემდეგ მოწინააღმდეგენი მოილაპარაკებენ, თუ ვინ უნდა იყოს ძლევრის როლში პირველად, დგებიან ცალ ფეხზე და პედაგოგის ან წინაშარ შერჩეული მსაჯის ნიშანზე იწყებენ თამაშის. თამაში იწყება ერთი მოთამაშის ასკინქილით გაქცევით და მეორის ასევე ასკინქილით დადგევნებით. თუ მდგვარი ხელით შეეხება მოწინააღმდეგეს, მაშინ იგი „ჩატრილია“ და მდგვარს აწერება ერთი ქულა. შემდგომ მოწინააღმდეგენი ცელიან როლებს. თამაში წარმოებს ქულათა გარევეული რაოდენობის დაგროვებამდე. სანამ მდგვარი არ შეეხება ხელით თავის მოწინააღმდეგეს, მანამდე ფეხის შენაცვლება არ შეიძლება. ის მოთამაშე, რომელიც შეცვლის ფეხს თამაშის დროს, ჩაითვლება დამარცხებულად. თამაშის ემოციური მხარის და ფიზიკური დატვირთვის ამაღლების მიზნით, შეიძლება შევზღუდოთ მოთამაშეთა დაჭერის დრო წამზომის საშუალებით. თუ მოცემული დროის განმავლობაში მოწინააღმდეგებმა ეერ დაიჭირეს ერთმანეთი, თამაში საყიდოა. ქვედა კადურების თანაბრად განვითარების მიზნით, სასურეელია ფეხის ცელა ყოველი 2, 4, 6 და ა. შ. ქულის მოპოვების შემდეგ, რათა მოწინააღმდეგეთაგან რომელიმეს არ მოუწიოს თავისთვის ხელსაყრელ ფეხზე ხშირი გამოდევნება.

თამაში რომ უფრო საინტერესო გავხადოთ, შეიძლება მოგებული მოთამაშები ერთმანეთს შეგაჯიბროთ და გამოვაელინოთ საუკეთესო მოთამაშე. თამაში შეიძლება გუნდური სახითაც ჩავატაროთ.

მოთამაშენი ანგარიშს აწარმოებენ ინდივიდუალურად. წყვილების მიხედვით თამაშის დამთავრების შემდეგ, გამარჯვებულს მოთამაშეთა დახმარებით გამოვაელენს პედაგოგი ან წინაშარ შერჩეული მსაჯი. ასეთი სახის მსაჯობა მოწინააღმდეგებს პასუხისმგებლობის, ნდობის, ობიექტურობის ურთიერთპატივისცემის, მეგობრული და ა. შ. გრძნობას გამოუმუშვავებს.

და დ გ ი დ გ ი მ ა მ ა ლ ა. თამაშში მონაწილეობას იღებენ ორივე სქესის წარმომადგენლები. მონაწილეთა რაოდენობა განუსაზღვრელია. თამაში უნდა ჩატარდეს მოცემული ფართის გათვალისწინებით. მოთამაშეთა მასობრივი ფორმით თამაშში ჩაბმა გა-

მოიწევეს თათოეული მოთამაშის გაკვეთილზე მაქსიმალურიდან ტვირთვას და გაკვეთილის სიმკრივის გაზრდას.

თამაში იწყება წყვილებში მოწინააღმდეგეთა შერჩევით. სასურველია მოწინააღმდეგენი მწყრივში პირველ-მეორეზე გათვლით შეირჩეს, სადაც შედარებით დაცული იქნება სიმაღლის ფაქტორი ან წყვილები შეირჩეს მოთამაშეთა ფიზიკური მომხადებულობის გათვალისწინებით. მოწინააღმდეგეთა შერჩევას შემდეგ, მთელი დაბაზის ფართზე თამაშს იწყებენ შერჩეული წყვილები. ისინი მკლავებს მკერდზე გადაიჭვარედინებენ, ცალ ფეხზე დადგებიან და დაიწყებენ ასკინკილით ხტომას, დროდადრო ერთმანეთს შხერებით ეჯახებიან, რათა ერთმანეთს მეორე ფეხიც დაადგმევინონ მწაზე. თამაშის დროს მკერდზე გადაჭვარედინებული მკლავების გახსნა, ხელის კერა, თეთი სახითვათ მოძრაობა არ შეიძლება. თუ შეტევის დროს ორივე მოთამაშე შეეხო იატაკს ორივე ფეხით, მაშინ თამაში საყაიმოა.

თამაშის დროს, მოწინააღმდეგეზე გამარჯვების მიზნით, შეიძლება ერთგვარი ტაქტიკური ხერხების გამოყენებაც მოწინააღმდეგეთა მოსატყუებლად (თითქოს ყურადღება მოადუნა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მეტოქის ყურადღების მოღუნება და შემდგომ სწრაფი თავდასხმა შეიძლება აღმოჩნდეს გამარჯვების საწინდარი, გვერდზე გახტომა მეტოქის შეტევის დროს, რომელმაც შეიძლება მეტოქის წონასწორობის დაცვაზე იმოქმედოს და ა. შ.), რომელიც ამ მიმართულებით უდაოდ გონიეროვ განვითარებს გამოიწვევს. დაჯახების შედეგად, როდესაც ერთ-ერთი მეტოქე წონასწორობას დაკარგავს და იატაკს მეორე ფეხითაც შეეხება, ჩაითვლება დამარცხებულად.

თამაშის დაწყების წინ, მოწინააღმდეგებმა წინასწარ უნდა და-თქვან, თუ რამდენი ქულის დაგროვების შემთხვევაში ჩაითვლება მეტოქე გამარჯვებულად. ის მოწინააღმდეგე მოგებული, რომელიც უფრო აღრე დააგროვებს ქულათა წინასწარ დათქმულ რაოდენობას.

თამაშის გართულების მიზნით, შეიძლება თამაშის ორთაბრძოლა, დრო რეგლამენტირებული გავხადოთ. მაგალითად: ათი, თხუთმეტი და ა. შ. წამი, თუ დროის ამ მონაცევეთში ვერც ერთმა ვერ შეძლო ერთმანეთის დამარცხება, თამაში საყაიმოდ ჩაითვლება. თამაშის დროს ასეთი წესის შემოღება გამოიწვევს მოთამაშეთა-

ქუთა მეტი განვითარების გაზრდას. ქვედა კიდურების თამაში უნდა რად განვითარების მიზნით, გარკვეული ანგარიშის, ღრობისა და ნიშნის მიცემის შემდეგ მოხდეს ფეხის შენაცვლება. თამაში უნდა გადავიტანოთ საწინააღმდევო ფეხზე.

თამაშის ასეთი მასობრივი ფორმით ჩატარება ართულებს თა-
მაშისათვის გამოყოფილი ერთი რომელიმე მსაჯის ფუნქციებს, რად-
განაც კონტროლი უველა მოთამაშე წყვილზე შეუძლებელი ხდება,
ამიტომ მსაჭობა უნდა დაუვალოთ თვით რთაბრძოლის მონაწილეებს,
რომლებიც თვითონ აწარმოებენ ანგარიშის მსვლელობას
და გამოვლენენ გამარჯვებულს. ასეთი ფორმით მსაჭობა თამაშის
მონაწილეებს პასუხისმგებლობის, ობიექტურობის, ურთიერთპა-
როვისუნის, მეგობრული და ა. შ. გრძნობას გამოიყენებს.

1951 წელს უნივერსიტეტში ჩატარდა სპარტაკიადა, სადაც პირ-
ველად მოწყო შეგიბრება ქართულ ეროვნულ თამაშობაში — სა-
ყებურთში, რომელმაც გადამუშავების შედეგად ფარბურთის სა-
ხელი მიიღო. ამჟერად კი ჩვენ კიდევ ერთხელ მოგიწოდებთ, რომ,
ისტორიული გამოცდილებითან გამომდინარე, ფართოდ გაულოთ
კარები უმაღლესმა სასწავლებლებმა ეროვნული ფიზიკური აღზრ-
დის საწყისებს, რომელიც სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის
გამრავალფეროვნების უშრეტ წყაროდ და პიროვნების ყოველ-
მხრივი განვითარების ერთ-ერთ აქტიურ საშუალებად გვევლინება.

Джапаридзе Гиви Заликоевич
НАРОДНЫЕ ИГРЫ И УПРАЖНЕНИЯ В ДОРЕВОЛЮ-
ЦИОННОЙ ПРЕССЕ
(на грузинском языке)
Издательство Тбилисского университета
Тбилиси 1990

გამომცემლობის რედაქტორი ნ. ცაგარეაშვილი
ტექნიკური რედაქტორი თ. ფირცხელანი
კორექტორი ც. მოლოდინი

გადაეცა წარმოებას 19.09.89. ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.03.90.
ცი 01549. საბეჭდი ქაღალდი 60×84. პირობითი ნაბეჭდი თაბაზი 3.
სააღრ.-საგამომც. თაბაზი 2,39. ტირაჟი 2000. შეკვეთის № 595.
ფასი 20 კა.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი,
380028, ი. ვაევდევის პროსპექტი, 14
Изательство Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.

საქართველოს სსრ ბეჭდებითი სიტუაციის სახელმწიფო კომიტეტის
ბეჭდებითი სიტუაციის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Государственного комитета Грузинской ССР
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.